# გილოცავთ 8 მარტს, ძვირფასო ქალებო

# საქართველოს რესპუბლიკა



სამშაბათი, 8 მარტი, 2005 წელი. №54 (5087) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


◎ კანონმდებლები

## ვისთან არ არის „მთლად მართალი“ სახელმწიფო და როგორ დასკვნას ელოდება ვიცე-სპიკერი?

**ბიუროს სხდომაზე მოსვლა დეპუტატებს, როგორც ყოველთვის, შეაგვიანდათ. მიხეილ მაჭავარიანი კოლეგებს ჯერ ოთახში შესვლას სთხოვდა, შემდეგ – ადგილების დაკავებას, ბოლოს – საუბრის შეწყვეტას. მისი ტონი თანდათან უფრო კატეგორიული გახდა, რის გამოც კითხვა შებედეს – სუნთქვა თუ შეიძლებაო. კი, მაგრამ ხმაური არაო, – იყო ვიცე-სპიკერის პასუხი.**



მართალია, ბატონი მიხეილი 8 მარტს თურმე მაინცდამაინც დიდ დღესასწაულად არ მიიჩნევს, მაგრამ რაკი უქმე დღეა, პარლამენტიც ისვენებს. ამდენად, ბიუროზე ის საკითხები განიხილეს, რომლებიც 9, 10 და 11 მარტს უნდა მოისმინონ პლენარულ სხდომაზე. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ის ინიციატივაა, რომელიც რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას ეხება. მართალია, ამ საკითხზე ძალიან დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ ამჯერად მოთხოვნა მეტად კატეგორიულია – სამხედრო ბაზებმა ჩვენი ტერიტორია 2006 წლის 1 იანვრამდე უნდა დატოვონ. პარლამენტის დადგენილების თანახმად, რუსეთის ბაზები კანონგარეშედ გამოცხადდება საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ კვირაში თავდაცვის კომიტეტი ლიდერობსო, – აღნიშნა მაჭავარიანმა, რადგან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დიდი ნაწილი სწორედ ამ კომიტეტმა წარმოადგინა. მაგალითად, თავდაცვის კომიტეტს შემოაქვს ცვლილებები საქართველოს კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანი ასეა განმარტებული – დააბალანსოს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გასაწვევი და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებას დაქვემდებარებული კონტინგენტის თანაფარდობა.

პარლამენტი ამ კვირაში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონპროექტის განხილვას შეუდგება. სხვათა შორის, მაშინ, როცა განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი და სხვა დეპუტატები უცხოელ სტუდენტთა „დაბეგვრა-არდაბეგვრაზე“ (სწავლის საფასურის რაოდენობაზე) დავობდნენ, ბიუროს სხდომის ოთახში ხმამაღალი შეძახილები შემოიჭრა. როგორც იცით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტები პარლამენტთან აქციას მართავენ. ვიღაცამ მიუთითა, სად ტარდებოდა ბიუროს სხდომა და მათაც შესაბამის ადგილზე გადაინაცვლეს. ინფორმატორის გარეშე ამას ნამდვილად ვერ შეძლებდნენ, რადგან მითიური ლაბირინთის მსგავს შენობაში ზოგჯერ ჩვენც, ყოველდღე, პარლამენტში მომუშავე ჟურნალისტებიც, ვერ ვიკვლევთ გზას. ეს არც მაჭავარიანს გამორჩა. გარედან შემოსული ყვირილი რომ გადაეფარა, ბატონმა მიხეილმა ხმის აწევით განაცხადა, დაველაპარაკები იმ კოლეგებს, ვინც აქციის მონაწილეებს ჩვენი ოთახის ფანჯრებზე მიუთითა და ბიუროს ბოლოს ჩემს მოსაზრებას გაგაცნობთო.

ჟურნალისტებთან შინაურულ საუბარში ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა აქციის მონაწილეები გაამტყუნა, თუმცა, ისიც აღიარა – სახელმწიფო მათთან მთლად მართალი არ არისო.

როგორც იცით, საკონსტიტუციო სასამართლო ქალაქ ქუთაისში გადაგვაქვთ. ბიუროს წევრებმა მთავრობის მიერ წარმოდგენილი დასკვნა, რომელიც სასამართლოს გადაადგილების ფინანსურ მხარეს ეხება, არასაკმარისად დამაჯერებლად მიიჩნიეს.

– მთავრობას თუ სურს, რომ ეს საკითხი განვიხილოთ, უფრო „წონადი და ტევადი“ დასკვნა წარმოადგინონ, – განაცხადა მიშა მაჭავარიანმა.

მიმდინარე სასესიო კვირის დღის წერიგში დავით ნამგალაურისა და ვასილ მაღლაფერიძისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხებიც შევიდა, რაკი ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაიყვანეს.

ჟურნალისტები ამაო ინტერესით ველოდით მიშა მაჭავარიანის განცხადებას კოლეჯის სტუდენტთა აქციის შესახებ – დღის წესრიგის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა ჩვენთვის დაიხურა...

**რუსუდან გახარია.**

◎ სიახლე

## „დოლარ სთორი“ – თბილისში

**ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით, დღეს თბილისში უნიკალური მაღაზიის – „დოლარ სთორის“ პრეზენტაცია მოეწყობა.**

მაღაზია დიღმის მასივში არსებული აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნება. „ეს არის უნიკალური მაღაზია, სადაც ყველაფერი, სურსათიდან დაწყებული, საოჯახო საქონლით დამთავრებული, ერთი დოლარი ეღირება“, – განაცხადეს მაღაზიის დამფუძნებლებმა.

მაღაზიაში გასაყიდი საქონელი პირდაპირ ამერიკიდან შემოვა და მაღალი ხარისხით იქნება გამორჩეული. მაღაზიები ანალოგიური სახელწოდებებით ამერიკაში უკვე დამკვიდრებულია, ამიერკავკასიაში კი ის პირველი იქნება.

**ინტერ-პრესი.**

◎ 1956 წლის 9 მარტი – ავადმოსაგონარ დღეთა ქრონიკა

## ძირძველი სისხლი

**ჩვენს საოჯახო ფოტოალბომში დღემდეა შემორჩენილი ომისშემდგომ წლებში გადაღებული ორი ტყუპი ძმის, ორი თანაერთხორცის ფოტოსურათი. ეს ჩვენა ვართ, მეორე თუ მესამე კლასის მოსწავლეები – ტარიელი და ავთანდილი. ჩვენს სახეებზე აღბეჭდილი ერთგვარი ჩუმი სიამაყის გრძნობა, უთუოდ, სტალინის იმ გულსაკიდი მედალიონებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, ბაბუა იპოლიტე ვართაგავამ ერთ მშვენიერ დღეს სახლში რომ მოიტანა და ახლად შეძენილ კოსტიუმებზე დაგვაბნია საპოვნელა ყვავილებივით, მაგრამ ესეც არ გვაკმარა, თბილისში, მაშინდელ ა. წერეთლის ქუჩაზე, შიხმანის ცნობილ ფოტოატელიეში წაგვიყვანა და სამახსოვრო სურათებიც გადაგვაღებინა...**



სხვათა შორის, ეს ის ფოტოატელიე იყო, სადაც დიდმა გალაკტიონმა, ჩვენს ოჯახში მოულოდნელი სტუმრობის დროს, თავისი ყოფილი მასწავლებელი თბილისის სასულიერო სემინარიიდან იპოლიტე ვართაგვა რომ წაიყვანა და მასთან დაუვიწყარი კადრი გადაიღო...

იხ. მე-4 გვ.

◎ „ღონღაძის საქმე“

## ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა



**რას შეეწირა წარმოშობით ქართველი უკრაინელი ჟურნალისტი, რად ჭიანურდებოდა მკვლელობის გამოძიება წლების განმავლობაში და როგორ ოპერატიულად გაიხსნა საქმე ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ?**

**გიორგი ღონღაძის მკვლელობის გამოძიება დიდი ხანია გასცდა უკრაინის ფარგლებს. ამ საქმის ბოლომდე გამოძიება და გახსნა ქვეყნის ახალი პრეზიდენტისა და მთლიანად უკრაინისთვის, როგორც ბატონი ვიქტორ იუშჩენკო აცხადებს, ღირსების საქმეა. ასევე ფიქრობს გენერალური პროკურორი ვიაჩესლავ პისკუნიც. მალე ჟურნალისტის მკვლელობას ნათელი მოეფინება. საზოგადოება გაიგებს შემკვეთთა და შემსრულებელთა გვარებს, დაუსჯელი არავინ დარჩება, თუმცა საქმეს ართულებს ის, რომ ერთმანეთის მიყოლებით გაურკვეველ ვითარებაში იღუპებიან მთავარი მოწმეები.**

ჯერ იყო და, საგამოძიებო იზოლატორში გაურკვეველ ვითარებაში გადაიცვალა მილიციის ყოფილი თანამშრომელი იგორ გონჩარევი, რომელიც აცხადებდა, რომ მისთვის ცნობილი არიან ჟურნალისტის მკვლელები, გასულ პარასკევს კი პროკურატურაში დაკითხვაზე მისვლამდე რამდენიმე საათით ადრე თავი მოიკლა უკრაინის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა იური კრავჩენკომ, თუმცა როგორც გაირკვა, მან დატოვა წერილი, სადაც სავარაუდოდ დასახელებულია მკვლელობასთან დაკავშირებულ მაღალჩინოსანთა გვარები.

იხ. მე-4 გვ.

◎ მოვლენები და განსჯა

## ბრატისლავის ახალი გაკვეთილები

**ბრატისლავაში**, აღმოსავლეთ ევროპის 13 ქვეყნის წარმომადგენელთა ფორუმის გამართვიდან, იქ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლიდან და თავის რუს კოლეგასთან ვლადიმერ პუტინთან მისი შეხვედრის შემდეგ სულ რამდენიმე დღე გავიდა. ამ მოვლენების მნიშვნელობაზე, ალბათ კიდევ ბევრს იმსჯელებენ. ჯერჯერობით კი, ჩვენი აზრით, ბრატისლავის მოვლენების თვითმხილველებთან გასაუბრება საუკეთესო შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ჩავწვდეთ ამ მოვლენათა არსს და გავიაზროთ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ყოველივე ამან ადამიანების და, შესაძლოა, მთელი სახელმწიფოების ბედზეც.

დღევანდელი ნომრის სტუმარია იურიდიულ საკითხთა ექსპერტი **თინათინ ხიდაშელი.**

იხ. მე-3 გვ.

◎ ინფორმაცია

### მზადება დიდი მარხვისთვის

**გუშინდელი** დღიდან, ერთი კვირის განმავლობაში, მართლმადიდებლური სამყარო ყველიერის შვიდეულს აღნიშნავს. ამ დროის განმავლობაში (ორშაბათიდან პარასკევამდე) მორწმუნენი მხოლოდ რძის პროდუქტებს, კვერცხს და თევზეულობას მიირთმევენ.

ყველიერის კვირით მართლმადიდებლური სამყარო დიდი მარხვისთვის ემზადება.

დიდი მარხვა ქრისტეს აღდგომიდან 7 კვირით ადრე, ორშაბათს იწყება და უფლის ბრწყინვალე აღდგომამდე გრძელდება.

დიდი მარხვა განსაკუთრებით მძიმეა. თევზით ხსნილია მხოლოდ ხარების და ბზობის დღესასწაულებზე.

აღდგომის დღესასწაული წლეულს 1 მაისს აღინიშნება.

### ფესტივალი – „ქართული სული“

11-16 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფესტივალი „ქართული სული“ გაიმართება.

გუშინ რადიო „იმედში“ გამართულ პრესკონფერენციაზე მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილმა განაცხადა, რომ ღონისძიება საპროდიუსერო კომპანია „არტ რუსთავის“ ინიციატივით ჩატარდება.

მისივე თქმით, ფესტივალი ანსამბლ „რუსთავის“ სოლო პროგრამით გაიხსნება. ფესტივალში მონაწილეობას ასევე მიიღებენ ანსამბლები: „ფორტე“, „ფესვები“ და „ქართული ხმები“. დაგეგმილია კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძის შემოქმედებითი საღამოს მოწყობაც, სადაც კომპოზიტორის ძველი და ახალი სიმღერები გაჟღერდება.

„კონცერტზე რომანსები და ფესტივალის სახელწოდების შესაბამისი სიმღერები შესრულდება. შემოქმედებით საღამოზე იმღერებენ ცნობილი ქართველი შემსრულებლები, მათ შორის – მერაბ სეფაშვილი, ეკა კვალიაშვილი და სხვები“, – აღნიშნა ლილიკო ნემსაძემ.

„ანსამბლი „რუსთავი“ ფესტივალზე ქართველი მაყურებლის წინაშე ახალ ცეკვას „რაჭულს“ წარმოადგენს, რომელიც დღემდე არც ერთ პროფესიულ ანსამბლს არ დაუდგამს. აღვადგინეთ ჯანო ბაგრატიონის მეგრული ცეკვა „ძაბრა“, – აღნიშნა ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ფრიდონ სულაბერიძემ.

კომპანია „არტ რუსთავი“ მსგავსი ფესტივალის ჩატარებას მიმდინარე წლის შემოდგომაზეც გეგმავს.

**ინტერ-პრესი.**

◎ უცხოური პრესიდან

## „პუტინი ველარ აკონტროლებს ყოფილ იმპერიას“

„კორიერე დელა სერა“ (იტალია), 7 მარტი.

CORRIERE DELLA SERA

*რუსეთის ლიბერალური პარტიის „იაბლოკოს“ ლიდერი გრიგოლ იავლინსკი იტალიის ქალაქ ტურინში მიხეილ გორბაჩოვისეული გარდაქმნის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მსოფლიო პოლიტიკურ ფორუმზე ესაუბრა იტალიური გაზეთის „კორიერე დელა სერას“ კორესპონდენტს დანილო ტაინოს. „მოლდავეთი უკრაინა არ არის თავისი გეოგრაფიული და სახელმწიფო მახასიათებლებით, მაგრამ ჩემი აზრით, იქაც ხდება რაღაც იმის მსგავსი, რაც უკვე მოხდა კიევში. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მოლდავეთში მოხდება „ნარინჯისფერი რევოლუცია“, მაგრამ ადვილი მოსალოდნელია, მოლდაველმა ხალხმა მოისურვოს, რომ მისი ხმა ყურად იღონ. შესაძლოა, ეს იყოს იმ ხარვეზებისა და შეცდომების დადასტურება, რომლებიც დაუშვა პუტინმა“.*

*გრიგოლ იავლინსკი არის რუსეთის ლიბერალური პარტიის „იაბლოკოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, ვლადიმერ პუტინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოპონენტი. იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთის პრეზიდენტს არ აქვს კარგად გააზრებული ის, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ხდება.*



**– თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ასეთი გაუგებრობის მიზეზი?**

– პუტინს ეგონა, რომ ჰქონდა კარტ-ბლანში რუსეთის მოსაზღვრე რესპუბლიკებში მოქმედებისთვის, იგი ფიქრობდა, რომ საერთაშორისო გაერთიანება ბევრ რამეზე თვალს დახუჭავდა. უკრაინაში ჩვენ ცხადად დავინახეთ, რომ ეს ასე არ არის. საქმე ისაა, რომ პუტინს არ აინტერესებს არც ადამიანის უფლებები და არც დემოკრატიული უფლებები. ამიტომ, მას არ აქვს შეგნებული, რომ სადღაც შეიძლება განვითარდეს ისეთივე მოვლენები, როგორიც უკრაინაში მოხდა, სადაც გაირკვა, რომ თურმე, შესაძლებელი ყოფილა ბრძოლა საარჩევნო მაქინაციების წინააღმდეგ. ახლა პუტინს ისღა დარჩენია, რომ ასეთ სიტუაციას შეურიგდეს.

**– მაგრამ კიევში რთული ვითარებაა...**

– ის, რაც მოხდება უკრაინაში, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. თუ ქვეყანაში ყველაფერი წარმატებით დასრულდა, ანუ აღორძინდა ეკონომიკა, კვლავაც გაგრძელდა პრობლემების გადაჭრა ევროპული სულისკვეთებით, მაშინ უკრაინა გადაიქცევა რაღაც განსაკუთრებულ მოდელად.

**– თუ ვერ მოხდა ყოველივე ეს?**

– ნებისმიერ შემთხვევაში წარმოიქმნება პრობლემები არა მარტო უკრაინისთვის, რომელიც ხელმძღვანელობის გარეშე დარჩება, არამედ რუსეთისთვისაც.

**– საკმარის ძალისხმევას თუ ახმარს დასავლეთი ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის უკრაინა, მოლდავეთი და ბელორუსია?**

– დასავლელ დემოკრატებს არანაირი სტრატეგია არა აქვთ არც რუსეთის და არც ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მიმართ. ამერიკელთა პოლიტიკა კი მკაფიოდაა გამოსახული: ბელორუსია, მაგალითად, ავღანეთის მოსაზღვრე ქვეყანა რომ ყოფილიყო, მაშინ ამ ქვეყნის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ბუშის საუკეთესო მეგობარი იქნებოდა.

## ინტერპანორამა

**სირიისა და ლიბანის პრეზიდენტები ჯარის გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებებს განაგრძობენ**

სირიის ჯარები ბეკას ველებიდან მარტის ბოლომდე გავა, ხოლო მოწინავე პოზიციებს, ჯერჯერობით დახრ-ელბეიდარის მთიან გადასასვლელზე შეინარჩუნებს. სირიელთა ქვედანაყოფების საბოლოო გაყვანის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება.



**დომინიკის რესპუბლიკაში ხანძარი გაჩნდა ციხეში, რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში მძვინვარებდა**

მეხანძრეებმა ძლივს მოახერხეს 26 დაზარალებულის გადარჩენა. ჯერჯერობით, ნაპოვნია 100-მდე გარდაცვლილის გვამი. კიდევ 200-ზე მეტი პატიმრის და ციხის მომსახურე პერსონალის ბედი გაურკვეველია.


## „საქართველოს რესპუბლიკა“ სიახლეებს ყიდულობს!

გინდათ მუდმივად ჯიბის ფულის ქონა? დაგვირეკეთ და ერთი დარეკვით 20 ლარი ალალი იყოს თქვენზე! ეს ჰონორარი ელოდება ყველას, ვის მიერ მოწოდებული ინფორმაციაც დაიბეჭდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. გვაცნობეთ ყველაფერი საყურადღებო, სენსაციური და უჩვეულო, რაც კი რამ თქვენს გარშემო ხდება, ან რასაც შეიტყობთ თუ გაიგონებთ. ნამდვილად არ წააგებთ.

დაგვირეკეთ ყოველდღე, დილის 10 საათიდან 16 საათამდე. ჩვენი ტელეფონია: 99-73-24. E-mail: sakresp@gol.ge


CYAN MAGENTA YELOOW BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 54, სამშაბათი, 8 მარტი, 2005 წელი.

მწვავე თემა

# რა დააშავეს კოლეჯის სტუდენტებმა?

**სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებისა და მშობლების აქციას, რომელიც რამდენიმე დღეა პარლამენტის წინ მდებარე სკვერში მიმდინარეობს, გუშინ ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯის სტუდენტები და მშობლებიც შეუერთდნენ. მათაც იგივე პრობლემა აქვთ: აღნიშნული კოლეჯის სტუდენტები სამი წლის განმავლობაში სკოლის პროგრამასთან ერთად უმაღლესი სასწავლებლის ერთ კურსს გადიოდნენ. ამიტომ, კოლეჯის დებულების მიხედვით, ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანუ როგორც მას მოკლედ უწოდებენ, უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტში, შიდა გამოცდების საფუძველზე ირიცხებოდნენ.**

კოლეჯში ბავშები ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხნენ. ბუნებრივია, მათ არა აქვთ საშუალო განათლების ატესტატი. დღეს კი ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ – განათლების სამინისტრო მათ კანონის უკუქმედებით ხელშეკრულებით დადებული პირობების გაუქმებით ემუქრება. არადა, ხელშეკრულების თანახმად, თავიანთ სასწავლებელში გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩატარების შემთხვევაში, კოლეჯის კურსდამთავრებულებს ნება ეძლეოდათ უნივერსიტეტის მეორე კურსზე სწავლა ავტომატურად გაეგრძელებინათ.

არცთუ უმნიშვნელო დეტალი: პირველ კურსზე მოსახვედრ აბიტურიენტებთან კოლეჯის სტუდენტების გაიგივება, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. იმდენად, რამდენადაც, როგორც კოლეჯის სტუდენტები, კოლეჯის დამთავრების შემდეგ ისინი არა პირველ, არამედ მეორე კურსზე ირიცხებიან. დავაზუსტებთ: უცხო ენათა უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯის სტუდენტები მეორე კურსზე ირიცხებიან, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები – მესამე კურსზე.

განათლების მინისტრი კახა ლომაია აცხადებს, რომ ეს ყველაფერი არის პრივილეგია, პრივილეგიების დრო კი დამთავრდაო. ისმება კითხვა, რა დააშავეს ამ ბავშვებმა? განათლების რეფორმა 2005 წლის იანვრიდან ამოქმედდა. კანონში გარკვევით წერია: **„ახალ კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა ძველთან მიმართებაში, თუ იგი ვნებს ან აზიანებს პირს“.** კოლეჯის მესამეკურსელს ივნისში გამოსაშვები გამოცდები აქვს ჩასაბარებელი, ივლისის დასაწყისში კი თურმე ერთიანი ეროვნული გამოცდები უნდა ჩააბაროს?!. რომ არაფერი ვთქვათ დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დატვირთვაზე, ესე იგი, ისინი პირველ კურსზე მოსახვედრ აბიტურიენტებთან უნდა გაიგივდნენ. კი მაგრამ რატომ? ამით ხომ მათი უფლებები ირღვევა? ამდენი წელი ტყუილად იწვალეს? თუ კოლეჯების არსებობა შეცდომა იყო, ეს შეცდომა 2005 წლიდან უნდა გამოსწორდეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამ შეცდომასთან სტუდენტები არაფერ შუაში არიან და მათ წვალებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ერთი საყურადღებო მომენტიც: როგორღა ჩააბარონ საშუალო სკოლის წლევანდელ კურსდამთავრებულთა თანაბრად უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები თუნდაც სამედიცინო კოლეჯის ამჟამინდელმა პირველკურსელებმა, რომლებიც შარშან მეცხრე კლასიდან ჩაირიცხნენ კოლეჯში და ჯერ არ გაუვლიათ საშუალო სკოლის სრული კურსი, ან იმავე კოლეჯის მესამეკურსელებმა?

ან იმას რა ვუყოთ, რომ არც ერთ მათგანს საშუალო სკოლის ატესტატი არა აქვს და არც ექნება? ამის გათვალისწინებით, თუ ზოგიერთი მათგანი რომელიმე საზღვარგარეთულ უმაღლეს სასწავლებელში დააპირებს სწავლის გაგრძელებას, უატესტატოდ იქ ვინ მიიღებს მათს საბუთებს?

კითხვა მრავალია, რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარე მიტინგის მონაწილეთათვის არგუმენტირებული პასუხის გამცემი კი არ ჩანს...

ცნობისთვის: განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ ზემოთ აღნიშნულ უნივერსიტეტებში სტუმრობისას გარკვევით განაცხადა: კოლეჯის სტუდენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდები არ შეეხებათო. მიტინგის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მინისტრის დამაიმედებელი განცხადების შემდეგ სიტუაციის ასე მოულოდნელმა შეცვლამ მათ მორალური და ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან. მომიტინგეებს მათი ობიექტურობის იმედი აქვთ. ჯერჯერობით კი მავანნი, ვინც არგუმენტირებულ პასუხს უნდა გასცემდეს მომიტინგეთა კითხვებს, თავს იმშვიდებს – ხუთას ოცდახუთი სტუდენტი რევოლუციას ვერ მოახდენსო (?!).



**მზია გელენავა.**

კონტაქტები

# საბერძნეთის დახმარება გავინაღდეთ

**საპასპორტო სამსახური წლების მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა. 2004 წლის 15 ნოემბრიდან კი მოქალაქის რეგისტრაციის ყველანაირ საბუთს იუსტიციის სამინისტრო გასცემს. სამინისტროს სტრუქტურაში საპასპორტო სამსახური მოძველებული ფორმით შევიდა, თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება. ამ მდგომარეობის გამოსწორებაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საბერძნეთი დაეხმარება.**

გუშინ იუსტიციის მინისტრმა კონსტანტინე კემულარიამ, საბერძნეთის ელჩმა საქართველოში კონსტანტინა მავროსკელიდოუმ და პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმის ფონდის დირექტორის მოადგილემ მარინა ფურცელაძემ ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას. გრანტის ფარგლებში, სამოქალაქო რეესტრის რეფორმის განსახორციელებლად, იუსტიციის სამინისტროს 300 000 ევრო გადაეცემა, რომელიც ოფისების რემონტს, აღჭურვას, სათანადო მოწყობილობის შესყიდვას, დამონტაჟებას, სხვა აუცილებელ სამუშაოებს მოხმარდება, რაც მომავალში ამ სამსახურის საქმიანობას ბევრად უფრო ეფექტიანს გახდის.



იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას განცხადებით, თბილისში 5-ზე მეტი თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ოფისი გაიხსნება, სადაც პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემისას, მოქალაქეებს სრულყოფილად მოემსახურებიან. ბატონმა კოტე კემულარიამ დახმარებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა საბერძნეთის მთავრობას და საბერძნეთის ელჩს საქართველოში.

ქალბატონმა კონსტანტინა მავროსკელიდოუმ, ყურადღება გაამახვილა საქართველოში პენიტენციურ სისტემაში ბოლო დროს მომხდარ ცვლილებებზე, და კორუფციის აღმოსაფხვრელად განხორციელებულ სამუშაოებზე.

– ევროკავშირი და მისი წევრი ყველა ქვეყანა ცდილობს, საქართველოს დაეხმაროს, საბერძნეთი საქართველოს უძველესი მეგობარია და მხარს უჭერს რეფორმების განხორციელებაში, – განაცხადა საბერძნეთის ელჩმა.

დასასრულ, ქალბატონმა კონსტანტინამ კოტე კემულარიას მინისტრად დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა. ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ მათი ურთიერთობა, გულახდილი საუბრები მომავალშიც გაგრძელდება.

**ლელა ხვადაგიანი.**

საზღვარი

# კონტრაბანდისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ

**როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურიდან გვაცნობეს, ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ეგიდით, თურქეთის შეიარაღებული ძალების სასწავლო ცენტრმა გუშინ დეპარტამენტის პირადი შემადგენლობისთვის დაიწყო ტრენინგი თემაზე – „ტრეფიკინგისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები“.**

ტრენინგში, რომელიც 11 მარტამდე გაგრძელდება, 40 ქართველი ოფიცერი მონაწილეობს.

მეგობარი ქვეყნის ინსტრუქტორთა ჯგუფს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ სასწავლო ცენტრის წარმომადგენელი, კაპიტანი მუსტაფა ოზჯანი ხელმძღვანელობს.

ხუთდღიანი საწვრთნელი კურსი მოიცავს პრობლემურ საკითხებს, ადამიანთა ტრეფიკინგის ფენომენის შესწავლა; ამ საყოველთაო დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერება საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით; ეროვნულ უსაფრთხოებაზე ადამიანთა ტრეფიკინგის უარყოფითი ზეგავლენის შემცირება-აღმოფხვრა; საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევების (ფაქტების) ღრმა ანალიზი; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ფიზიკური შესაძლებლობების ამაღლება; სახელმწიფო საზღვარზე ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სადაზვერვო მოქმედებების დახვეწა და სხვა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ნატოს სასწავლო ცენტრს მსგავსი საწვრთნელი კურსები მსოფლიოს 51 ქვეყანაში 174-ჯერ აქვს გამართული.

საქართველოს შემდეგ ნატო სემინარ-ტრენინგებს გამართავს აზერბაიჯანში, რუმინეთსა და უკრაინაში.

საქართველოს სასაზღვრო უწყებაში მაღალი დონის ტრენინგი მეორედ იმართება. შარშან თურქმა სპეციალისტებმა „საზღვრის უსაფრთხოების კონტროლის“ აქტუალურ საკითხებზე გაგვიზიარეს გამოცდილება.

**სოსო დონაძე.**

დღე



# გმირის დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ!

**გუშინ, 7 მარტს ქიული შარტავა 61 წლისა გახდებოდა. მეოცე საუკუნის საქართველოს პირველი ეროვნული გმირი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბოლო ხანს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. აფხაზმა სეპარატისტებმა არ დაინდეს ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ძმობის აღდგენის, შერიგების, მიტევების, გაერთიანების ერთ-ერთი მოთავე, 1993 წლის 27 სექტემბერს ტყვედ აიყვანეს და... რომ ვერ დააჩოქეს, ავტომატის კონდახები ურტყეს, სოფელ აჩადარაში ძალით წაიყვანეს და იქ დახვრიტეს.**

რა თქმა უნდა, აფხაზმა და რუსების მიერ შეგულიანებულმა სხვა რჯულის ნაძირალებმა ქიულის თანამებრძოლები – სოხუმის მერი გურამ გაბესკირია, უშიშროების გენერალი მამია ალასანია და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ჯუმბერ ბეთაშვილიც არ დაინდეს. ქიულისთან ერთად ისინიც გმირულად დაიღუპნენ.

თორმეტი წლის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იტყვის: **„ქიული შარტავას მთავარი დანატოვარი არის ის, რომ საქართველო უნდა გამთლიანდეს. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი არის ის, რომ მისი დაწყებული საქმე მივიყვანოთ ბოლომდე. ეს არის აფხაზეთის დაბრუნება...“**

ქიული შარტავას დავიწყება შეუძლებელია. რაც მეტი დრო გადის მისი გარდაცვალებიდან, მით უფრო აშკარა ხდება ამ დაუდეგარი, პატრიოტი, რაინდი კაცის სამაგალითო თვისებები...

გუშინაც, სენაკსა თუ თბილისში მის სამაგალითო, თაობათათვის ხელიხელსაგოგმანებ თვისებებზე ლაპარაკობდნენ ქიულის მეგობრები და კოლეგები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და ქიული შარტავას სახელობის ფონდის ხელმძღვანელები – თემურ მჟავია და რობერტ ღარიბაშვილი.

გმირის სახელობის სკვერში მისი მონატრების საღამო გაიმართა. ქიულის ღვაწლმოსილმა მამამ კალისტრატე შარტავამ მადლობა გადაუხადა თბილისის პრემიერს თემურ ქურხულს, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს ავთანდილ დავითაძეს, შეკრებილ საზოგადოებას მისი შვილის ხსოვნის პატივისცემისთვის.

რაიონის რამდენიმე სკოლას საჩუქრად გადაეცა უნიკალური წიგნი – „გმირობისათვის დაბადებული“.

ეჭვგარეშეა, საქართველოში კიდევაც დაიზრდებიან ქიული შარტავას ბადალი გმირები.

**საბრტაკ ძოზულია.**

ინფორმაცია

## დავით მირცხულავა: რას უნდა მტანჯონ, მაწამონ...

**პროკურატურის** მოთხოვნას, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრისთვის დავით მირცხულავასთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთის შესახებ, მირცხულავას ადვოკატმა ეკა ბესელიამ ხელისუფლებისთვის სამარცხვინო უწოდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ბესელიამ განუცხადა, პროკურატურის მოთხოვნა სამარცხვინო იყო იმის გათვალისწინებით, რომ ეს პირველი საქმეა, რომელიც არსებითი განხილვისთვის სასამართლოს გადაეცა.



„ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ყოფილი მინისტრი ვერ აიძულეს თავისუფლების საფასურად თანხა გადაეხადა. სწორედ ამიტომ, ხელისუფლებამ და პროკურატურამ მასზე შური იძიეს. ეს არის ძალიან პატარა ადამიანების ფსიქოლოგია“, – განაცხადა ბესელიამ.

მისი თქმით, ხელისუფლებამ და პროკურატურამ გახმაურებული საბრალდებო სიტყვით კრახი განიცადეს. „მათზე უკეთესი წარმოდგენა მქონდა. არ მეგონა, ასე თუ გაშიშვლდებოდნენ და ნიღაბს ასე ჩამოიხსნიდნენ. ეტყობა, სირცხვილის გრძნობა სულ დაკარგეს“, – განაცხადა ბესელიამ.

დაცვის მხარემ ერთი კვირის ვადა ითხოვა, რათა მისი სიტყვა ემოციური არ ყოფილიყო და ანალიტიკური დასკვნები გაეკეთებინა. „სასამართლო ალბათ პროკურორის სიტყვით იხელმძღვანელებს“, – მიაჩნია ბესელიას.

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა 2003 წლის დეკემბერში დააკავეს. გენერალური პროკურატურა მას თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ედავება, რის შედეგადაც სახელმწიფომ სომხეთის წინაშე 2,3 მილიონი დოლარის ვალი ზედმეტად აღიარა.

## რუსთავის მერი ქალაქის პოლიციის მუშაობით უკმაყოფილოა

**რუსთავის** მერი ქალაქის პოლიციის მუშაობით უკმაყოფილოა. მერაბ ტყეშელაშვილმა სამართალდამცველები გუშინ გამართულ ტრადიციულ თათბირზე გააკრიტიკა.

„არავინ კითხულობს, რა და როგორ ხდება ქალაქში. საპატრულო სამსახურიც შეთავსებული მაქვს და პოლიციის ფუნქციებიც. ვფიქრობ, რომ რუსთავის პოლიციის ხელმძღვანელობას და ამ სისტემის თანამშრომლებს არ ესმით, რა მოვალეობა აკისრიათ. ვისაც არ ესმის, ჩვენ გავაგებინებთ. რაც რუსთავში ხდება, ეს უმსგავსობაა“, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას რუსთავში დანაშაულის 12 ფაქტი აღირიცხა, აქედან – ოთხი ავტოსაგზაო შემთხვევა. მერაბ ტყეშელაშვილი იმითაც აღშფოთებულია, რომ ქალაქში საპატრულო სამსახური დღემდე არ ფუნქციონირებს.

**ინტერ-პრესი.**

SIC!

# ამერიკის სენატი მკაცრად მოითხოვს

**აშშ სენატში შეტანილი რეზოლუცია რუსეთისგან საქართველოსა და მოლდოვის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს.**

რეზოლუციის ინიციატორია სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთი 1999 წელს სტამბოლში ეუთოს სამიტზე ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს, კერძოდ მოლდავეთიდან საკუთარი შეიარაღებული ძალები და საქართველოდან სამხედრო ბაზები არ გაყავს.

„რუსეთმა საქართველოდან სამხედრო ტექნიკის ის ნაწილი გაიყვანა, რომელიც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების ლიმიტებს აღემატებოდა, მაგრამ საქართველოსთან დღემდე არ არის მიღწეული შეთანხმება გუდაუთის სამხედრო ბაზაზე რუსული ჯარების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე ახალქალაქის და ბათუმის ბაზებიდან რუსული ჯარების გაყვანის ვადების შესახებ“, - ნათქვამია რეზოლუციაში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ აშშ არ ეთანხმება საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთოს დამკვირვებელთა მისიის დახურვას, რომლის მუშაობაც რუსული მხარის მოთხოვნით შეწყდა.

სენატორი რიჩარდ ლუგარი მიიჩნევს, რომ აშშ-მა, ევროპელ მოკავშირეებთან ერთად, რუსეთზე მკაცრი დიპლომატიური ზეწოლა უნდა განახორციელოს საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთოს დამკვირვებელთა მისიის მუშაობის გაგრძელების მიზნით.

„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ საკითხებში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას“, - განაცხადა ლუგარმა.

**ინტერ-პრესი.**

ვარაუდი

# ვინ შეცვლის ჯონი ხეცურიანს?

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალ თავმჯდომარედ პარლამენტარ მარიკა ვერულაშვილის კანდიდატურა სახელისუფლებო წრეებში აქტიურად განიხილება. ამის შესახებ „ინტერ-პრესს“ სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულმა სარწმუნო წყარომ აცნობა.**

მარიკა ვერულაშვილი საქართველოს პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით შევიდა. იგი მიხეილ სააკაშვილის პრეს-მდივანი იყო, როდესაც სააკაშვილი ჯერ იუსტიციის სამინისტროს, შემდეგ კი დედაქალაქის მერიას ხელმძღვანელობდა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მინიმალური ასაკი 35 წლით არის განსაზღვრული. განათლებით იურისტი მარიკა ვერულაშვილი 1971 წელსაა დაბადებული. „ინტერ-პრესის“ ინფორმაციით, მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის გამოცდები.

პრეზიდენტის ინიციატივით პარლამენტში შესული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილება და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მინიმალური ასაკი 30 წლამდე უნდა შემცირდეს.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს პრეზიდენტი, სამს - პარლამენტი და სამს უზენაესი სასამართლო ნიშნავენ. სასამართლოს ცხრაკაციანი შემადგენლობა, რომელსაც უფლებამოსილება 10 წლით ენიჭება, საკუთარი რიგებიდან თავმჯდომარეს 5 წლის ვადით ირჩევს. კანონმდებლობის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ მეორე ვადით დანიშვნა დაუშვებელია.

სასამართლოს ამჟამინდელ თავმჯდომარეს ჯონი ხეცურიანს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე წელიწადზე ნაკლები დარჩა.

პრესკონფერენცია

# ლეიბორისტები იმუქრებიან

**სოციალურად დისკრიმინაციული, ე. წ. შოკური გადაწყვეტილება, უზნეობა და უსინდისობა, – ასე შეაფასა თბილისის მერის საკადრო გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის“ თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ. ამ ახალი დადგენილების პროექტის თანახმად, მერიის 1700 თანამშრომელი სამსახურს დატოვებს, ყოველგვარი სოციალური გარანტიის, კომპენსაციისა და ალტერნატივის შეუთავაზებლად. „მაშინ, როდესაც თბილისის საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობა, თბილისის მთავრობა და მერი წელიწადში სამჯერ იზრდიან ხელფასს... ამ ადამიანების სოციალურ მდგომარეობაზე არავინ დაფიქრებულა. მათი ხელფასი ხომ მათი ოჯახებისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა“, – განუცხადა ჟურნალისტებს „ლეიბორისტის“ თავმჯდომარემ.**

მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებას საკრებულოში აუცილებლად წარადგენენ და ვეტოს დადებას მოითხოვენ. „მაგრამ თუ საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობა ეფექტურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს და დადგენილებას არ გააუქმებს, დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები და უამრავი თბილისელი მათ კინწისკვრით გამოყრის კაბინეტებიდან“. გიორგი გუგავას თქმით, „ჰაერში უკვე ახალი რევოლუციის სურნელი ტრიალებს, რომელიც დღითი დღე ახლოვდება“. იგი ახალ ხელისუფლებას „დამღუპველს და დამანგრეველს“ უწოდებს, რომლის გამოისობითაც ქვეყანაში კატასტროფული ვითარება შეიქმნა.

ასი ათასობით უმუშევართა არმიას აგრესიულად განწყობილი მერიის თანამშრომლებიც შეუერთდებიან. „ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად სასამართლოში გავასაჩივრებთ. მას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, ფაქტია მხოლოდ ის, რომ ეს 1700 ადამიანი ერთი ხელის მოსმით მოიცილონ, გაყარონ სამსახურებიდან და მათ ადგილზე 500-700 „კმარელი“ და „NGO-შნიკი“ მოიყვანონ, რომლებიც თავის დროზე ჭიაბერაშვილთან ერთად არჩევნებს აყალბებდნენ, ქართულ ტრადიციებს ებრძოდნენ...“

ფრაქციის ლიდერი დარწმუნებულია, რომ მერიის განთავისუფლებული თანამშრომლების ნაცვლად, ახალი კადრები ერთი პრინციპით დაინიშნებიან. ესენი იქნებიან არჩევნების გამყალბებლები და „ვინც ხმამაღლა გაჰკიოდა „კმარას“.

გიორგი გუგავას მიაჩნია, რომ ქვეყანაში ავტორიტარიზმის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, ამის ერთ-ერთი ნიშანია სახელმწიფო დაწესებულებებში „პატრიმონალური პრინციპის“ ჩამოყალიბება, რაც ერთგულების ყმობის მიხედვით ადამიანების თანამდებობაზე დანიშვნას გულისხმობს.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

პოზიცია

# საკუთარი სახსრებით გავიყვანთ...

**საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, საქართველოს შესწევს უნარი, საკუთარი სახსრებით გაიყვანოს რუსეთის სამხედრო ბაზების ტექნიკა და მოსამსახურე პერსონალი ქვეყნის ტერიტორიიდან.**



როგორც გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტარმა გივი თარგამაძემ განაცხადა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს 10 მილიონი დოლარი გამოუყო, საიდანაც 6 მილიონი დოლარი ჯერ კიდევ გასახარჯია. „ეს 6 მილიონი დოლარი სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ საქართველოს სახელმწიფომ უზრუნველყოს რუსული სამხედრო ბაზების ტექნიკისა და მოსამსახურე პერსონალის ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიიდან“, - განაცხადა გივი თარგამაძემ.

აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ მას შემდეგ გააკეთა, რაც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის შესახებ პარლამენტის დადგენილებით კონკრეტული ვადის დასახელების ინიციატივა წამოაყენა.

უფრო ადრე, გივი თარგამაძე აცხადებდა, რომ თუ მოსკოვი საქართველოში დისლოცირებულ რუსულ ბაზებთან დაკავშირებით კონკრეტულ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, არ გამორიცხავდა ბაზებისთვის ბლოკადის გამოცხადებას – ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდების შეწყვეტას, სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამორთვას და ა. შ.

საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა ეუთოს სტამბულის სამიტზე ხელმოწერილი დოკუმენტით არის გათვალისწინებული.

# საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის გაღიზიანების არ ეშინია

**პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი მიიჩნევს, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით, ოფიციალურ მოსკოვს საკმაოდ გააღიზიანებს. თუმცა, გაბაშვილის განცხადებით, ხელისუფლებას რუსეთის გაღიზიანების არ ეშინია.**

ამგვარი განცხადება კოტე გაბაშვილმა პარლამენტის ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.

კოტე გაბაშვილის განცხადებით, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები ერთობლივ ნაბიჯებს გადადგამენ, რათა პარლამენტის აღნიშნული დადგენილება შესრულდეს.



დეპუტატის თქმით, საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას, რადგან მას საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა აქვს.

**ინტერ-პრესი.**

ინფორმაცია

## აფხაზეთში – რწმუნებულის სტატუსით

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელ მდივანს ზურაბ ლაკერბაიას რწმუნებულის სტატუსით ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის შუამავლის როლის შესრულება დაავალა.**

## ჰუმანიტარული აქცია ზუგდიდში

**წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ ზუგდიდში სოციალურად დაუცველი ფენებისთვის ჰუმანიტარული დახმარების დარიგება დაიწყო. როგორც „ინტერ-პრესის“ ადგილობრივი კორესპონდენტი იუწყება, ჰუმანიტარული დახმარების სახით მოსახლეობას, ძირითადად, საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სიმინდის თესლი, შესაბამისი რაოდენობის საწვავი და საკვები პროდუქტები გადასცეს.**

**ჰუმანიტარულ აქციას პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში გიგი უგულავაც ესწრებოდა, რომელმაც მოსახლეობისთვის გაწეული დახმარებისთვის წითელი ჯვრის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა. თუმცა, როგორც უგულავამ აღნიშნა, სიები, რომლითაც ჰუმანიტარული პროდუქტები დარიგდა, უკვე მოძველებულია. „საერთაშორისო ორგანიზაციებს სიების განახლებაში სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაეხმარებიან“, – განაცხადა უგულავამ.**

**წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მსგავსი პროექტები ზუგდიდში რეგულარულად განხორციელდება. უახლოეს მომავალში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის საქონლის საკვების გადაცემა იგეგმება.**

**ინტერ-პრესი.**

მოვლენები და განსჯა

# ბრატისლავის ახალი გაკვეთილები



(პირველი გვერდიდან)

*– რით შეიძლება აიხსნას, რომ ბრატისლავის შეხვედრაზე მიიწვიეს თქვენ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი და გიგა ბოკერია – ამჟამად პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი წევრი?*

– ამაში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა: „ვარდების რევოლუციის" დროს ჩვენ [illegible] ერთ მხარეზე ვიდექით და ერთ პოზიციას ვიცავდით. რა თქმა უნდა, გიგა ბოკერია ბრატისლავაში ჩავიდა როგორც პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მაგრამ ამ ფორუმზე მონაწილეობა განსაზღვრა ჩვენმა როლმა რევოლუციაში და არა იმან, თუ რა საქმიანობას ვეწევით დღეს. ჩვენ, [illegible], 10 წლის განმავლობაში ერთად ვიბრძოდით იმისთვის, რაც მოხდა მაშინ, ნოემბერში.

*– როგორი იყო ფორუმის პროგრამა?*

– იგი ორი ნაწილისგან შედგებოდა. 23 თებერვალს გაიმართა ჯერმან მარშალის ფონდის მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა დემოკრატიის ახალ მიმართულებებს. მასში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების [illegible]. [illegible]

სი მოელოდა კი იყო შეხვედრა პრეზიდენტ ბუშთან, რომელიც 24 თებერვალს გაიმართა. ეს შეხვედრაც იმავე ფორმატით მიმდინარეობდა, როგორითაც კონფერენცია, [illegible] 13 ქვეყნის [illegible], ოღონდ მასში უკვე მონაწილეობდნენ ყოველი ქვეყნიდან არა 18, არამედ მხოლოდ ორ-ორი წარმომადგენელი.

*– როგორ მიმდინარეობდა ეს შეხვედრა, თუ მოგეცათ პრეზიდენტ ბუშთან [illegible] შესაძლებლობა?*

– შეხვედრის ფორმატი იძლეოდა [illegible]

ნელობა ენიჭებოდა ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ეს შეხვედრა გაიმართა ბუშ-პუტინის სამიტის წინ. და მეორეც, იმის გარდა, რაც პრეზიდენტმა ბუშმა თქვა ბრატისლავაში თავისი საჯარო გამოსვლის დროს, თავისთავად, ასეთი შეხვედრა ადამიანებთან, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში იბრძოდნენ ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის გავლენის წინააღმდეგ, გახდა ძალზე კონკრეტული მესიჯი პრეზიდენტ პუტინისთვის. ვგულისხმობ იმას, რომ შეერთებული შტატები ძირითად ყურადღებას ამახვილებს ადამიანებზე, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნების გათავისუფლებისა და დემოკრატიისთვის.

*– რამდენად აკმაყოფილებს დემოკრატიის კრიტერიუმებს საქართველოში სადღეისოდ შექმნილი ვითარება?*

– რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს, ან აკმაყოფილებს უფრო მეტად, ვიდრე ეს სამი წლის წინათ იყო, მაგრამ ვერ შეესაბამება გამოთქმულ ამბიციებს. მე ხშირად მითქვამს ამის შესახებ და, ვფიქრობ, მაქვს ამის უფლება, რადგან, შეიძლება ითქვას, ვიმყოფებოდი ჩვენი რევოლუციური მოვლენების განვითარების შუაგულში. მაგრამ რევოლუციას ავტომატურად არ მოაქვს დემოკრატია და არ „ბადებს" დემოკრატიულ ლიდერებს. როგორც წესი, პირიქით ხდება ხოლმე (და მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს ამას) – რევოლუციის შემდეგ მოდიან ქარიზმატული ლიდერები, რომლებიც საოცრად არიან დარწმუნებული საკუთარ ძალებში. რა თქმა უნდა, როცა ქუჩაში გამოსული ხალხის 97 პროცენტი გიჭერს მხარს, ვინ უნდა იყოს შენზე უკეთესი და ძლიერი... ასეთი განწყობილებით მოდიან ლიდერები, ეს კი ძალზე საშიშია. ამიტომ ცივილიზებულმა სამყარომ გამოიგონა კიდეც არჩევნები ხელისუფლების რეგულაციის და არა რევოლუციური გარდაქმნების მიზნით, სწორედ ამიტომ იცვლება თითქმის ყველგან ხელისუფლება 3, 4 ან 5 წლის შემდეგ. ვიმეორებ, ის, რაც მოხდა ჩვენთან, იძულებითი ნაბიჯი იყო. და მე არც ნოემბერში და არც მოგვიანებით – იანვარში არ მიფიქრია, რომ დემოკრატია ერთი ხელის დაკვრით დამყარდებოდა ჩვენთან. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ გადაიდგმებოდა ნაბიჯები ამ მიმართულებით. ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვერ მივიღეთ სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფო იმიტომ, რომ ერთბაშად 20 ან 40 ათასი მოხელის გარდაქმნა პოლიციელი ბიუროკრატებისგან სახელმწიფო მოხელეებად შეუძლებელია. და მაინც, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი და პრეზიდენტის ყოველი გამოსვლა მოემსახურებოდა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას. სამწუხაროდ, სწორედ ეს არ ხდება. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, პირიქით ხდება. პირველი 6 თვის განმავლობაში ჩვენი პრეზიდენტის გამოსვლები, სამწუხაროდ, კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს ქვეყანაში ტოტალიტარული აზროვნების დამკვიდრებას, ადამიანის უფლებათა დარღვევების წახალისებას, დაიწყო ყოვლად გაუგებარი ბრძოლა იმისთვის, თუ რამდენი საქმის გახსნას მოასწრებდნენ. „მე მჭირდება ბევრი გახსნილი საქმე, ხოლო როგორ გაიხსნება ისინი, ამას მნიშვნელობა არა აქვს", – დაახლოებით, ასეთი იყო მაშინდელი განცხადებების ფსიქოლოგია. და, რა თქმა უნდა, ამ გზას მივყავართ არა დემოკრატიისკენ, არამედ ოდნავ სხვა მიმართულებით. და რევოლუციაც ამისთვის არ მოგვიხდენია.

*– ეს ეხება მასმედიაში შექმნილ ვითარებას და, განსაკუთრებით, ტელეარხებს?*

– მასმედიასთან დაკავშირებული ვითარება ჩვენთან წინათაც არ იყო უნაკლო, განსაკუთრებით, ვგულისხმობ ტელევიზიას. გაზეთები მაშინაც ამტკიცებდნენ, რომ საქმეს უფრო სერიოზულად ეკიდებოდნენ, ვიდრე ტელევიზია, რომელიც ჩვენში ყოველთვის ზედაპირული იყო. მაგრამ ახლა ამ თვალსაზრისითაც სრული კატასტროფაა. უკვე არა ერთი, როგორც წინათ იყო, არამედ ორი სახელმწიფო ტელეარხის არსებობის პირობებში (ტელეარხ „რუსთავი-2"-საც ვგულისხმობ) მიმდინარეობს ლაპარაკი რაღაც თვით ცენზურაზე, რაც ჩემთვის გაუგებარია. თვით ცენზურისადმი მიდრეკილება ჟურნალისტებს უჩნდებათ მაშინ, როცა მათ რაღაცის ეშინიათ. ახლანდელმა ხელისუფლებამ კი გააკეთა ყველაფერი ამისთვის: ჟურნალისტებს ეშინიათ არა დევნის ან ფიზიკური ანგარიშსწორების, არამედ იმის, რომ დაკარგავენ სამუშაოს, რაც საქართველოში შიმშილით სიკვდილის ტოლფასია. და, ჩემი აზრით, ეს ფსიქოლოგია სადღეისოდ ძალზე გავრცელებულია თავიანთ პატრონებზე დამოკიდებულ ქართველ ჟურნალისტთა შორის, რომელთა პატრონებსაც, თავის მხრივ, ეშინიათ, არ გახდნენ შანტაჟის მსხვერპლნი და არ ამოყონ თავი საპყრობილეებში. როცა პრეზიდენტი პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან ემუქრება ვიღაცას კიდევ უფრო მეტი ფულის წართმევით, არავისთვის აღარ არის დასამალი, თუ რა მდგომარეობაში არიან ტელეარხების მფლობელები.

*– ალბათ, შეიძლება, კიდევ გავაგრძელოთ მთავრობის არადემოკრატიულ მოქმედებათა ნუსხა...*

– ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ის, რომ არ არსებობს რეალურად ლიბერალური ბიზნეს-სივრცე, რომლის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ. იქნებ, ვინმემ სკეპტიკოსი მიწოდოს და ბრალად დამდოს, რომ რეალურად ვერ ვუყურებ ცხოვრებას, მაგრამ პრობლემაა ის, რომ ყველაფერი პირიქით ხდება. მე, ბუნებრივია, პრივატიზაციის მომხრე ვარ, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ფორმებზე. გამჭვირვალეობის არარსებობის გარდა, ის ფაქტი, რომ ყიდიან დიდ ობიექტებს, სულაც არ ნიშნავს ეკონომიკური გარემოს ლიბერალიზაციას. ქვეყანაში მიმდინარეობს მცირე ბიზნესის მასობრივი რეკეტი. გავიხსენოთ, რა ხდებოდა ამ მიმართულებით გასულ წელს. ერთ მშვენიერ დღეს რომელიღაც ჩინოვნიკმა განაცხადა, რომ რაღაც უნდა ვიღონოთ ხაშხაშის თესლის გამყიდველთა წინააღმდეგ, რადგან ამ მასალისგან ნარკოტიკებს ამზადებენ. ყველა ბაზარს ჩამოუარა პოლიციამ, ამოიღეს ტონობით ეს პროდუქცია და დაწვეს. შინაგან საქმეთა ამჟამინდელმა მინისტრმა კი განაცხადა ტელევიზიით: მე ვიცოდი, რომ ირღვეოდა კანონი, მაგრამ კვლავაც დავარღვევ კანონს, თუ ამას საქმე მოითხოვს. არავის უფიქრია იმაზე, რომ ადამიანებმა კანონიერად შეიძინეს ეს პროდუქცია მისი რეალიზაციის მიზნით, იჯარით აიღეს დახლები, ფარდულები, პოლიციელებმა კი მათ ყველაფერი ჩამოართვეს, თანაც, საკმაოდ უხეში ფორმით. რადგან ხაშხაში მართლაც არის ნედლეული ნარკოტიკების წარმოებისთვის, ხომ შეეძლო ხელისუფლებას, აეხსნა ტელევიზიით და მისი რეალიზატორებისთვის ორი კვირა მაინც მიეცა იმისთვის, რომ ხაშხაში ჩაებარებინათ, თუნდაც, საკონდიტრო საწარმოებისთვის? ახლა, მეორე სახელმწიფო მოხელეს მოუვიდა თავში ის, რომ ერთი ხელის დაკვრით გაეყარა ყველა ქუჩის მოვაჭრე. მე, როგორც მრავალი ჩვენი თანამოქალაქე, რა თქმა უნდა, არ ვარ აღტაცებული თბილისის ქუჩებში შექმნილი ვითარებით, მაგრამ ეს ადამიანები ხომ ქუჩებში არაერთი წელია ვაჭრობენ, რაც მათთვის ოჯახის, მოხუცების, ბავშვების რჩენის ერთადერთი წყაროა. მრავალმა მათგანმა აიღო კრედიტები, გაყიდა ბინები, რათა წამოეწყო საქმე. და ეს არ იყო უკანონო საქმიანობა, ყველაფერი ლეგალურად ხდებოდა. უკანონობა რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ უნდა ეგოთ პასუხი იმ პირებს, რომლებმაც დაუშვეს ეს! მაგრამ დაზარალდა მხოლოდ თვითნებობის მსხვერპლი.

*– ანალოგიური ვითარება შეიქმნა ახლა სიგარეტის გამყიდველებთან დაკავშირებითაც...*

– არც კი ვიცი, რა ვუწოდო ამას! ეს ყოვლად გაუმართლებელი აქციაა. სხვათა შორის, მაშინაც, როცა აქციზების ფასები მოუმატეს, გაიზარდა კონტრაბანდა. ლიბერალური ბიზნეს-გარემოს პირველი ნიშანია სტაბილური ეკონომიკური სივრცე. საქართველოში კი არავინ უწყის, თუ რა მოუვა თავში მორიგ სახელმწიფო მოხელეს. და ადამიანებიც მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობენ, რადგან ფიქრობენ, რომ აკეთებენ ისეთ რამეს, რაც შეიძლება, უკანონო საქმიანობად მიიჩნიონ.

თუ ვილაპარაკებთ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალზე, ჩემი აზრით, ასეთი გამოსავალი მხოლოდ ერთია: არ უნდა მივიღოთ იმპულსური გადაწყვეტილებები და ბევრი ვიფიქროთ მანამ, სანამ გავაკეთებთ რაიმე ისეთს, რაზეც დამოკიდებული იქნება ასი ათასობით ადამიანის ბედი.

**ანდრეი ბელიავსკი,**
**„კომსომოლსკაია პრავდა".**

ინფორმაცია

## ომბუდსმენი მხარს უჭერს...

**საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტთა მშობლებს გუშინ საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი შეხვდა.**

**როგორც შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ ნონა დგებუაძემ აღნიშნა, ომბუდსმენი კოლეჯის სტუდენტებისა და მათი მშობლების მოთხოვნებს მხარს უჭერს. „სუბარი დაგვპირდა, რომ ვითარებას გაეცნობა და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებს", – განაცხადა დგებუაძემ.**

**მოპიკეტეთა ინფორმაციით, აქციის მონაწილეების მოთხოვნებს იზიარებენ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლებიც. „ისინი მოლაპარაკებებს მართავენ განათლების სამინისტროსთან, რათა გადაწყვეტილება სტუდენტების სასარგებლოდ იქნას გამოტანილი", – აღნიშნეს სტუდენტებმა „ინტერ-პრესთან" საუბრისას.**

**სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები და მათი მშობლები განათლების სამინისტროს იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, კოლეჯის კურსდამთავრებულები ავტომატურად, გამოცდების გარეშე ვეღარ ჩაირიცხებიან სამედიცინო უნივერსიტეტში, რაც მათ ხელშეკრულებით ჰქონდათ გარანტირებული.**

**კოლეჯის სტუდენტები და მათი მშობლები საქართველოს პარლამენტის შენობასთან საპროტესტო აქციებს 1 მარტიდან პერმანენტულად მართავენ. მოპიკეტეთა თქმით, ისინი აქციას მანამდე არ დაშლიან, ვიდრე განათლების სამინისტრო მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.**

## ლენტეხის რაიონი გარესამყაროს მოწყდა

**რაჭა-ლეჩხუმის შემდეგ, სტიქია ამჯერად სვანეთს დაატყდა. დიდთოვლობის გამო, ლენტეხის რაიონის მოსახლეობის 60 პროცენტი გარესამყაროს მოწყდა. ზოგიერთ სოფელში თოვლის საფარმა 2 მეტრს გადააჭარბა.**

**როგორც „ინტერ-პრესს" ლენტეხის გამგებელმა მიხეილ ონიანმა განუცხადა, რაიონში ამჟამადაც თოვს და მხოლოდ რამდენიმე სოფელთან ხერხდება საავტომობილო გზით დაკავშირება.**

**მიხეილ ონიანის ინფორმაციით, მდგომარეობა საგანგაშო არ არის, რადგან ლენტეხში, ტრადიციულად, ამ დროს დიდთოვლობის გამო რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი გზები იკეტება. შესაბამისად, მოსახლეობა მსგავს ვითარებას მომზადებული ხვდება.**

## აღკვეთეს ჩვილ ბავშვთა გაყიდვის მცდელობა

**სამართალდამცველებმა თბილისში ჩვილი ბავშვის უკანონოდ გაყიდვის მცდელობა აღკვეთეს.**

**დაკავებულნი არიან ისრაელის მოქალაქე ბელა დათიკაშვილი და თბილისში მცხოვრები კრისტინა ჩალოიანი.**

**ოფიციალური ინფორმაციით, ისრაელის მოქალაქემ ბელა დათიკაშვილმა ექვსი კვირის ახალშობილი 600 აშშ დოლარად იყიდა და საზღვარგარეთ მის გაყვანას ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ცდილობდა.**

**დამნაშავეები შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ტრეფიკინგთან ბრძოლის სამმართველოსა და შს სამინისტროს დიდუბის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ისანი-სამგორის პროკურატურა იძიებს.**

**ინტერ-პრესი.**

პიროვნება

# „ჩუმი სევდის მუსიკა"

ერთი შეხედვით ვერც კი წარმოიდგენთ, ასეთი სიმპათიური ახალგაზრდა ქალის სამყარო თუ ესოდენ ღრმა და საინტერესოა. მაგრამ საკმარისია, თვალი გადაავლოთ მის მიერ შექმნილ მინიატიურებს, რომ მაშინვე თქვენს თვალწინ მოაზროვნე და ცხოვრების ლაბირინთებში კარგად გარკვეული ადამიანი წარმოჩინდება. იგრძნობ, რომ მისი ბუნება სულ სხვანაირად არის „მოწყობილი", სიკეთე უხვად აქვს მომადლებული, ათასი პრობლემით დახუნძლული თავის დარდსა და გაჭირვებას არავის მოახვევს თავს.

სწორედ მაშინ გამოეცალა ხელიდან მეუღლე, როცა ყველაზე ძალიან სჭირდებოდა. დარჩა ორი შვილით, ერთხანს არც კი იცოდა, რა უნდა ექნა, ის ხომ ასე განებივრებული და უზრუნველყოფილი ჰყავდა



მეუღლეს, ღუღუნი ანდრიაძეს, რომელიც პროფესიონალიზმით და ვაჟკაცობით გამორჩეული პიროვნება იყო.

რაღაც მაგიური ძალა აქვს მის ღიმილს, ნათელი გადაეფინება ხოლმე სახეზე და მის შემხედვარეს შენც იმედი გესახება გულში. ეს თვისება კი ამ პროფესიის ადამიანებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ.

– მთავარია, გული შეგტკიოდეს ავადმყოფზე, უკანასკნელ წუთამდე ცდილობდე მის გადარჩენას. მოყვასის დახმარება და მათზე ზრუნვა ჩვენი ქრისტიანული ვალია, – მეუბნება ქალბატონი ნონა კაკაურიძე, – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ენათმეცნიერება აინტერესებდა, მაგრამ მშობლების თხოვნით სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. სამაგიეროდ, დღეს ავადმყოფის გარეშე უკვე აღარ შემიძლიაო, – გამიმხილა.

რაც შეეხება ავადმყოფებს, თუკი ერთხელ მოხვდნენ მასთან მიღებაზე, მერე უკვე სხვისკენ აღარც იხედებიან. ნებისმიერ თემაზე შეიძლება მასთან საუბარი.

ეს კი მის განათლებასა და განსწავლულობაზე მეტყველებს.

– სამ წელიწადს მამარდაშვილის ლექციებს ვესწრებოდი, – მეუბნება ქალბატონი ნონა და ორ სქელ რვეულს მაძლევს, – ჩემი სულის გამოძახილია, თუ მოიცლით, გადახედეთო.

მის მინიატიურებს ფილოსოფიური აზროვნების კვალი ატყვია.

აქვე გეტყვით, როცა გადავხედე მის ნაწერებს, ეს ახალგაზრდა ექიმი ქალი კიდევ უფრო ამაღლდა ჩემს თვალში. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ყოფილიყო.

უყვარს განმარტოება.

– სარწმუნოება ჩემი თავშესაფარიაო, – ამბობს. ხშირად სტუმრობს იტრიის დედათა მონასტერს, კვირაობით, ზოგჯერ თვეობით რჩება დედებთან და როგორც მორჩილი, ისე შრომობს და ლოცულობს მათთან ერთად.

გარდა იმისა, რომ ის თერაპიის ინსტიტუტის ათეროსკლეროზის ცენტრს ხელმძღვანელობს, იმავდროულად, თბილისის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტის რექტორი და სამედიცინო კოლეჯის დირექტორია. ეს ინსტიტუტი ერთადერთი მონოპროფილური სასწავლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელსაც საკუთარი სტომატოლოგიური ლიცენზირებული კლინიკა აქვს, სადაც უშუალოდ სტუდენტები იღებენ პაციენტებს, ეს კი ხელს უწყობს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ეს ერთ-ერთი კლინიკაა, სადაც ავადმყოფებს უფასოდ ემსახურებიან.

– ადამიანებისადმი დახმარება მისი სულიერი მოთხოვნილებაა, – ამბობენ კოლეგები მასზე, – ნონას არ შეუძლია სხვისი გაჭირვების ატანა, თავისი ახლობლების მიმართ მიყენებულ ტკივილსაც საკუთარ ტკივილად აღიქვამს. მეგობრების სული და გულია. უშურველად იცის დახმარება.

არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანი დიდი მეცნიერი



და კარგი პროფესიონალია, მაგრამ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების სხვისთვის გადაცემის უნარი არა აქვს. ქალბატონი ნონა იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება, ვისთვისაც სხვისი წვრთნა და აღზრდა სასიცოცხლო მოთხოვნილებად ქცეულა.

დინჯად, აუჩქარებლად ასწავლის, უხსნის და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას აჩვევს ასპირანტებსა თუ სტუდენტებს. ახალგაზრდებიც თავიანთი პედაგოგისგან შრომის სიყვარულს, პუნქტუალობას, მომთხოვნილებასა და სამართლიანობას სწავლობენ.

– უმრავლეს ჩვენგანს ცხოვრებაში ჰყავს ადამიანი, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა მათი ბედისა და ბიოგრაფიის განსაზღვრაში. ასეთია ჩემთვის ბატონი ნოდარ ყიფშიძე, – ამბობს ნონა, – მან მამის მაგივრობაც კი გამიწია. მხოლოდ ბატონ ნოდართან თავდაუზოგავი თანამშრომლობით მოხერხდა ათეროსკლეროზის ცენტრის შექმნა.

დღეს ათეროსკლეროზი და მისი გართულებანი ინვალიდობისა და სიკვდილის ყველაზე გავრცელებული მიზეზი გახლავთ. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, გასული საუკუნის ბოლოს, ათეროსკლეროზის გამო სიკვდილიანობა სამოცი პროცენტით გაიზარდა. სწორედაც ამ საკითხს ეძღვნებოდა ქალბატონ ნონას სადოქტორო დისერტაციაც, რომელმაც მეცნიერთა და პრაქტიკოსთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საქმეს თუ სჭირდება, სიმკაცრეს იჩენს, თავად მუდამ მოწესრიგებული და აკურატული, სხვებისგანაც ამას მოითხოვს, სხვა ღირებულებების გარდა, იგი თავმდაბლობითაც გამოირჩევა.

საქართველო საერთაშორისო ათეროსკლეროზის საზოგადოების წევრი ორგანიზაციაა და სათავო ოფისი თერაპიის ინსტიტუტშია.

გარდა იმისა, რასაც ყოველდღე ავადმყოფების მიღება და მათი მკურნალობა ჰქვია, ქალბატონი ნონა მეტად საინტერესო საერთაშორისო პროექტზე მუშაობს – „გზა კავკასიური დღეგრძელობისკენ". ეს კი ნიშნავს ქართული ტრადიციული ცხოვრების წესით მკურნალობას. შინაგანი, პლუს გარემო – ეს კომპლექსი წარმოქმნის დღეგრძელობას.

მოგეხსენებათ, დღეგრძელობის ენდემური კერები აჭარასა და აფხაზეთშია, სადაც 90 წელზე მეტი ხნის ადამიანები, ე. ი. დღეგრძელთა ოჯახები ცხოვრობენ.

– დღეგრძელობას დღეს ხელს უშლის ცხოვრების არაჯანსაღი წესი, რომელიც სხვადასხვა დაავადების აღმოცენებას უწყობს ხელს, რაც სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს, ამიტომ ჩვენი პროექტის მიზანია, – ბრძანებს ქალბატონი ნონა, – ადამიანში განავითაროს ადაპტაციური პროცესები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევს დაავადებებს. თუ ეს მოხდება, სასურველ ნიადაგს გამოვაცლით დაავადებების წარმოქმნას, მაშინ რისკფაქტორი, რომელიც დაბერებას უწყობდა ხელს, აღმოფხვრილი იქნება ქართული დღეგრძელობის ტრადიციული ცხოვრების წესით.

ამ პროექტის შესრულების შემდეგ კავკასიური დღეგრძელობის მათემატიკურ მოდელს მივიღებთ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მცხოვრები ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

უკვე ერთი წელიწადი გავიდა, რომელიც მოსამზადებელ პერიოდად ითვლებოდა და 60 წლის ასაკის ზემოთ, 2000 ადამიანს უფასო გამოკვლევა და მკურნალობა ჩაუტარდა. მარტიდან უკვე ინტენსიურად დავიწყებთ და მთელ საქართველოს მოვიცავთ.

როგორც შეიქმნა ხმელთაშუაზღვის დიეტა, რომელიც სამკურნალოა და დიდი პოპულარობით სარგებლობს, ასევე ჩვენი პროექტის მიზანია კავკასიური დიეტის შექმნა, რომელიც სიცოცხლის არა მარტო გახანგრძლივებას, არამედ ადამიანის გაახალგაზრდავებასაც უზრუნველყოფს.

4 წელიწადს მეუღლესთან ერთად, ალჟირში მუშაობდა ნონა კაკაურიძე. – 38 ათას ავადმყოფს ვუმკურნალე. კარგად ვიცნობ საერთაშორისო სამედიცინო დონეს და გული მწყდება, ასეთი უმაღლესი კატეგორიის ექიმების ფონზე, საშუალო მედპერსონალი რომ ვერ უტოლდება საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენთან არ არსებობს საერთაშორისო დონის მედდა. მათი სწავლების დონე მეტად დაბალია. ამაზეც მაქვს პროექტი მზად. მინდოდა, შემექმნა სწავლების პროგრამა, რომელიც გაუთანაბრდებოდა საერთაშორისო დონის მედდის კვალიფიკაციას, ამის საშუალებით კი ჩვენს უმუშევრებს გზა გაეხსნებოდათ მსოფლიოს კლინიკებისკენ.

ქალბატონ ნონას შეუძლია, არა მარტო როგორც კარგმა ექიმმა და მეცნიერმა იამაყოს, არამედ როგორც კარგმა დედამაც. მან სანიმუშო ქალ-ვაჟი გაზარდა. გიორგი უკვე მამა გახდა, თეა კი იტალიაში, საელჩოში მუშაობს. იგი სიამაყით მაჩვენებს შვილის წიგნს, რომელიც სულ ახლახან დაიბეჭდა იტალიაში. ხარობს შვილების წარმატებებით.

ასე ცხოვრობს თბილისში, ერთ მყუდრო ბინაში მარტოხელა ქალი, დედა, ბებია, ექიმი, მეცნიერი, რომელსაც „ჩუმი სევდის მუსიკა ათოვს" და ასე, მისხალ-მისხალ ანაწილებს სითბოსა და სიყვარულს. ეს წერილიც მისი ლექსის სტრიქონით უნდა დავამთავრო:

**„მაგრამ სულ სხვაა ის სიყვარული,**
**ნათლით რომ მოსავს ყველა შემცივნულს,**
**რაც უფრო მეტად დაანაწილებ,**
**უფრო ღვივდება და უფრო ათბობს"...**

**მარადი ანასაშვილი.**

**სურათებზე: ნონა კაკაურიძე; თერაპიის ინსტიტუტის თანამშრომლები. შუაში – აკადემიკოსი ნოდარ ყიფშიძე.**

ოზლის კვერი

# ღვთისანაბარა ბიჭის ამბავი

ეს ამბავი ამ ათიოდე წლის წინათ მოხდა. ჩემს უმცროს ვაჟიშვილს სკოლიდან მოსვლა შეაგვიანდა. თან სადილს ვაკეთებ, თან ვნერვიულობ. როგორც იქნა, კარი გაიღო და მეხუთეკლასელი „ვაჟკაცი" რაღაც გარინდულ-დაფიქრებული შემოვიდა. სევდიანად მიყურებს და კარს არ კეტავს. არადა, მარტია. ცივი ქარი უბერავს.

რა იყო, დახურე კარი-მეთქი, – ვუთხარი და თან საყვედურებისთვის გავემზადე. მან კი გარეთ გაიხედა და ვიღაცა თავაზიანად შემოიპატიჟა. თან თითქოს ყელში რაღაც ებჯინება და ცრემლი ახრჩობს. მე თვალს არ მაშორებს. ოთახში მისი თანატოლი ბიჭუნა შემოვიდა. თმაგადახოტრილი, ბუთხუზა. კარგად ნახმარი ჯინსის შარვალი და დასვრილი ფეხსაცმელი აცვია. თბილ ლაბადაზე კაშნეც უკეთია. ხელები? – ჭუჭყიანი და დამსკდარი. ეგლა მაკლდა-მეთქი და რა არ ვიფიქრე: იქნებ რა დაავადება სჭირს, იქნებ ქურდია, ან ეს ჩემი უტვინო შვილი სად გადაეყარა-მეთქი. ისე, ანდროს სულ ეგეთი რაღაცეები ემართება. ისეთ რამეს ჩაიდენს ზოგჯერ, ყველას გვაკვირვებს. ახლა ამასაც ქუჩაში გადაეყარა ალბათ და სახლში მოიპატიჟა.

რა გქვია-მეთქი, – ვკითხე ბიჭს, – ელდარიო, – მიპასუხა და თავი ჩაქინდრა. მშობლები თუ გყავს ან ვისთან ცხოვრობ-მეთქი. – ობოლი ვარ და სადგურში, ვაგონში ვცხოვრობო, ისე, სვანეთიდან ვარ ჩამოსულიო და აქ მხოლოდ კეთილი ადამიანების დახმარებით ვირჩენ თავსო...

ამასობაში ჩემმა შვილმა ჩანთა მოიხსნა, ხელები დაიბანა და ელდარიც სააბაზანოში მიიპატიჟა.

– მშიაო, – ვალდებულებასავით ამოიძახა და მაგიდას მიუჯდა. ელდარი კი ფრთხილობს, თითქოს ერიდება. ანდრომ სკამი გამოუწია და გვერდით მოისვა.

ივახშმეს. სათამაშოდ ეზოშიც გავიდნენ. ელდარი მეზობლების ბავშვებმაც გაიცნეს. ძალიან თბილი ბავშვი აღმოჩნდა. ღმერთო, შეგცოდე და ჩემთვის ვფიქრობ, ამაღამ რომ არ წავიდეს, სად უნდა დავაძინო-მეთქი. მართლაც, გვიანობამდე ირბინეს და სადღა წავიდოდა. „ლეჟანკა" გავუშალე. ბიჭების შუაში ჩავაწვინე. მშვიდად ეძინა. დილით ადრე გაიღვიძა. ჩემი ზარმაცი შვილებიც გაადვიძა. სწრაფად იცმევდა ელდარი. ბათინკების ზონარი უწყდებოდა და ისევ აბამდა...

– დედა, ჩემი დაპატარავებული ბოტასები მივცეთო, – ჩამჩურჩულა უფროსმა ბიჭმა.

რა აღარ გამოჩნდა: შარვლები, პერანგები, თავისი ნაწოლი თეთრეულიც ავუხვიე. იმხელა ფუთა შეიკრა, როგორ უნდა წაიღოს-მეთქი, – ვამბობდი.

ჩაიზე დავპატიჟე. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. გავაღე და რას ვხედავ: ჩემს მეზობლებსაც გაუმზადებიათ ელდარისთვის საჩუქრები: თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხილი, სხვა პროდუქტები.

მოკლედ, პატარა ოთახში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩა. მეზობლის ბიჭმა ელდარს ფულიც აჩუქა. მთელმა სამეზობლომ გავაცილეთ.

იმის მერე ხშირად ვახსენებდით ელდარს. ერთი კვირის თავზე ისევ გამოჩნდა. თბილი საბანი დამრჩა და წავიღებო. გავატანეთ. თავისი მეგობრები მოიკითხა. სკოლაში წასულები დახვდნენ.

ჩემი შვილებიდან უფროსს ბავშვობიდანვე ძალიან უყვარდა კითხვა. ანდრო კი, მისი შემხედვარე, თვითონაც იძულებული ხდებოდა, ხელში წიგნი აეღო. მაგრამ წიგნზევე ეძინებოდა. ორივენი ბიბლიოთეკის მკითხველები იყვნენ. მეორე დღეს კი ჩემი შვილი საწოლში გვიანობამდე კითხულობდა მომცრო წიგნს. კითხვაში ჩასძინებოდა. წიგნი დავხურე და მის სათაურს დავხედე: „ქუჩის პატარა მაწანწალა" – ეწერა გარეკანს..

შემებრალა ჩემი შვილი, ყველა მისი თანატოლი. კიდევ უფრო შემებრალა ელდარი და მაშინ მივხვდი, თუ რა გრძნობა აჩერებს ჩემს ბიჭს ქუჩაში, როცა თავის თანატოლ მათხოვრებს ხედავს, როცა მოზარდის სულში ამხელა პარადოქსებით იჭრება ცხოვრება, როცა ჩვენ, დიდები, უძლურნი ვართ, რამენაირად შევცვალოთ იგი. ალბათ, ასევე იქცევიან თქვენი შვილებიც, მკითხველნო.

ახლა აღარ მიკვირს, რატომ დადიან ქუჩებში ფიქრიანი ახალგაზრდები.

მას შემდეგ რამდენი წელიწადი გავიდა..

ელდარი, ასე, 20-21 წლის ვაჟკაცი იქნება უკვე. ნეტავ, სად არის, რას აკეთებს? რამ უფრო იმძლავრა მის სულში, ადამიანების მიერ გაღებულმა სი-



კეთემ თუ ადამიანებისვე ბოროტებამ?..

მე კი მინდა, სიკეთე ახსოვდეს მუდამ და ბედნიერი ცხოვრება ჰქონდეს.

... ახლაც, მეტროთი მგზავრობის დროს, როცა მათხოვარ ბავშვებს ვხედავ ხოლმე, ელდარი მახსენდება. მის გამოხედვას დავეძებ პატარა მაწანწალების თვალებში.

მთელი დღეა, დილიდან ამ ბიჭის ბედზე ფიქრი ამეკვიატა...

**ლია ჭილლაძე.**

„ღონღაძის საქმე“

# ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა

(პირველი გვერდიდან)

ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის თვითმკვლელობიდან რამდენიმე საათში ჩეხეთიდან სასწრაფოდ დაბრუნდა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა (უკრაინული პრესის ინფორმაციით, ბატონი კუჩმა კარლოვი ვარში ნურსულთან ნაზარბაევის ვილაში ისვენებდა).

როგორც ყოფილმა პრეზიდენტმა განმარტა, იგი ჩამოვიდა, რათა უპასუხოს პროკურატურისა და საზოგადოების მიერ დასმულ ყველა კითხვას, რომ ის არ იცნობდა გარდაცვლილ ჟურნალისტს. იმის მიუხედავად, აკრიტიკებდა თუ არა პრეზიდენტს, მის მიმართ პრეტენზია არასდროს გამოუხატავს და გიორგი ღონღაძის წინაშე პირნათელია.

უკრაინული თუ უცხოური პრესა ამ საქმესთან დაკავშირებით ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს ავრცელებს.

ინტერნეტ-გაზეთის „უკრაინის პრავდის“ მთავარი რედაქტორის, გიორგი ღონღაძის მკვლელობის ირგვლივ ატეხილი პოლიტიკური სკანდალი აპოგეას აღწევს.

ბოლო პერიოდში უკრაინის გენერალური პროკურატურის აქტიურობა საზოგადოებას ოთხი წლის განმავლობაში დაგროვილ მტკივნეულ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემის იმედს აძლევს.

უკრაინის გენერალური პროკურორი კი მართლაც აქტიურობს. ვიაჩესლავ პისკუნმა 2 მარტს საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებს ჟურნალისტის მკვლელობის დეტალები მისი გაუჩინარებიდან დღემდე დაწვრილებით აღუწერა. გენერალური პროკურორის ინფორმაცია კი სწორედ ჟურნალისტის მკვლელობაში ეჭვმიტანილ დაკავებულ მაღალჩინოსანთა ჩვენებებს ეყრდნობა. თუმცა პროკურატურას რთულ კითხვებზე საბოლოო პასუხის გაცემისთვის გარკვეული დრო მაინც სჭირდება, რათა ყველაფერს ნათელი მოეფინოს. გენპროკურორი დარწმუნებულია, რომ მალე წარდგებიან სასამართლოს წინაშე შემკვეთებიც და შემსრულებლებიც.

## ჟურნალისტის მკვლელობის დეტალები

**2000 წლის 17 ივლისს გიორგი ღონღაძე რწმუნდება, რომ უთვალთვალებენ. იგი იმავე დღეს ღია წერილით მიმართავს გენერალურ პროკურორს მიხეილ პოტებენკოს და ითხოვს დაცვას. თვალთვალი ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა, რის თაობაზეც იგი აუწყებს კოლეგებსაც, თუმცა არც ამას მოჰყოლია შედეგი.**

**16 სექტემბერს, 22 საათსა და 20 წუთზე, კიევში, ლესია უკრაინკას ბულვარის მიმდებარე ტერიტორიიდან გიორგი ღონღაძე თავისი კოლეგის ალიონა პრიტულის ბინიდან გამოდის, „ტაქსში“ ჯდება და უგზოუკვლოდ იკარგება...**

**3 ნოემბერს კიევის ოლქის ტარაშჩანსკის რაიონში, ულაშოვსკის სატყეო მეურნეობაში შემთხვევით ნახულობენ თავმოკვეთილ გვამს, რომელშიაც მეგობრები გიორგი ღონღაძეს იცნობენ. გვამი საგამოძიებო ექსპერტიზის ჩასატარებლად გენერალურ პროკურატურას მიაქვს.**

**28 ნოემბერს უკრაინის სოციალისტური პარტიის ლიდერმა, რადას წევრმა ალექსანდრე მოროზმა პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრის, ნიკოლოზ მელნიჩენკოს მიერ ქვეყნის მეთაურის კაბინეტში საიდუმლოდ ჩაწერილი აუდიოფირი გამოაქვეყნა. ფირზე არსებული მონაცემები, სხვა ფაქტებთან ერთად, გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებულ დეტალებსაც შეიცავს.**

**სკანდალს, რომელიც რადაში აუდიოფირის მოსმენის შემდეგ აგორდა და „კუჩმაგეიტის“ სახელით გახმაურდა, ძალოვანი უწყებიდან რამდენიმე მაღალჩინოსნის თანამდებობიდან განთავისუფლება მოჰყვა.**



გიორგის დედა – ლესია ღონღაძე შვილის მკვლელის დასჯას ითხოვს.

**2001 წლის 15 იანვარს საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეთ“ საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოაქვეყნა დასკვნა, რომ ღონღაძე მოკლულია ჟურნალისტური მოღვაწეობის გამო. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რობერტ მენარმა კი უკრაინის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვა, რადგან იგი ხელს უშლიდა მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებას.**

**15 იანვარს გიორგი ღონღაძის დედა ქალბატონი ლესია ღონღაძე უარს ამბობს „ტარაშჩანსკის ცხედრის“ დაკრძალვაზე, რადგან არ სჯერა, რომ ეს მისი შვილის ცხედარია.**

**18 იანვარს გენერალური პროკურორი ავრცელებს ინფორმაციას, რომ გიორგი ღონღაძე შესაძლოა ცოცხალია, რომ იგი, თითქოსდა, ლვოვში ნახეს.**

**22 თებერვალს კუჩმა აცხადებს, რომ მას არავისთვის უბრძანებია ჟურნალისტის მოკვლა და არ აპირებს პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომას. ამ დროს კიევში ხელისუფლების წინააღმდეგ მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები იმართება. მომიტინგეთა მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტისა და მელნიჩენკოს აუდიოფირის ფიგურანტთა ხელისუფლებიდან ჩამოშორებაა.**

**18 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრი იური სმირნოვი აცხადებს, რომ გიორგის მკვლელობის გამოძიება ჩიხში შევიდა.**

**8 მაისს ამერიკელმა ექსპერტებმა დაასრულეს ექსპერტიზა და გამოაქვეყნეს დასკვნა, რომ „ტარაშჩენსკის ცხედარი“ ნამდვილად გიორგისაა.**

**15 მაისს უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა რუსული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ გამოძიებისთვის ცნობილია მკვლელთა ვინაობა, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრმა კი განმარტა, რომ ჟურნალისტის მკვლელობა პოლიტიკური მოტივით არ მომხდარა.**

**31 მაისს გენერალური პროკურატურა ნებას რთავს ხელისუფლებას, თუ ახლობლები არ წაიღებენ ცხედარს, დაასაფლავოს გარდაცვლილი.**

**16 ივნისს ჟურნალისტის დედა წერილობით მიმართავს გენერალურ პროკურატურას და ითხოვს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარებას, რის აუცილებლობასაც პროკურატურა ვერ ხედავს.**

**27 ივლისს გენერალური პროკურორი უარყოფს „აუდიოფირის სკანდალთან“ ჟურნალისტის გაუჩინარების კავშირს.**

**11 სექტემბერს ლესია ღონღაძე მიმართავს გენერალურ პროკურორს მიხეილ პოტებენკოს, ბრალი წაუყენოს ლეონიდ კუჩმას, ვლადიმერ ლიტვინსა და იური კრავჩენკოს მისი შვილის გატაცებასა და მკვლელობაში.**

**2003 წლის 3 ივლისს სვიატოსლავ პისკუნი უკრაინის გენერალურ პროკურორად დამტკიცებისთანავე არწმუნებს საზოგადოებას, რომ ექვსი თვის განმავლობაში „ღონღაძის საქმეს“ სასამართლოს გადასცემს.**

**30 ივლისს საგამოძიებო იზოლატორში საეჭვო ვითარებაში კვდება მილიციის ყოფილი თანამშრომელი იგორ გონჩარევი, რომელიც ამტკიცებდა, რომ იცის, ვინ მოკლა გიორგი ღონღაძე და ამ საქმესთან დაკავშირებულნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები.**

**29 ოქტომბერს პრეზიდენტი თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალურ პროკურორს სვიატოსლავ პისკუნს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გენპროკურორის გათავისუფლების მთავარი მიზეზი გიორგი ღონღაძის საქმის ძიების გააქტიურება და მილიციის მაღალი რანგის ჩინოვნიკთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გახსნა, კერძოდ, გენერალ ალექსეი პუკაჩის დაპატიმრება გახდა. ეს სწორედ ის გენერალი გახლავთ, რომელმაც მილიციიდან გიორგი ღონღაძეზე დაწესებული თვალთვალის ამსახველი დოკუმენტების განადგურების ბრძანება გასცა.**



გენერალური პროკურორი სვიატოსლავ პისკუნი.

**2004 წლის დეკემბერი. უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუცია იმარჯვებს. ვიქტორ იუშენკო პრეზიდენტი ხდება.**

**2005 წლის 1 მარტს უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელები დააკავეს, რომ საქმე, ფაქტობრივად, გახსნილია.**

**2 მარტს ვიაჩესლავ პისკუნი, რომელიც უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ კვლავ იკავებს გენერალური პროკურორის პოსტს, საგანგებო ბრიფინგზე ჟურნალისტის მკვლელობის დეტალებს დაწვრილებით აცნობს საზოგადოებას.**

## საშინელი სიკვდილი

გენერალური პროკურორის განმარტებით, გიორგი ღონღაძე მეგობრის ბინიდან გამოსვლის შემდეგ ქუჩაში ტაქსის გასაჩერებლად შეყოვნდა, სწორედ ამ დროს გამტაცებლებმა, რომლებიც მას ელოდებოდნენ, ტაქსის ნაცვლად სხვა მანქანა შეაჩერეს. ჟურნალისტმა მანქანაში წინ ჩაჯდომა დააპირა, მაგრამ მძღოლმა გააფრთხილა, რომ სავარძელი მოტეხილი იყო და უკან ჩაჯდომა შესთავაზა. მასაც ეჭვი არაფერში შეჰპარვია, უსიტყვოდ დაემორჩილა „რჩევას“. შემდეგ, როგორც გენპროკურორმა განმარტა, სალონში მას მოულოდნელად პოლიციის სამი თანამშრომელი ჩაუხტა. გამტაცებლებმა ჟურნალისტი სავარძლებს შორის ჩატენეს, ხელები შეუკრეს და ცემა დაუწყეს. გიორგი ღონღაძე მათ ქალაქგარეთ გაყვანამდე მოახრჩეს, ადგილი შეარჩიეს, მანქანიდან გადმოათრიეს, მიწაზე დააგდეს, ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ ცხედარი არ დაიწვა. არსებობს ვერსია, თუმცა ამაზე ოფიციალურად არ საუბრობენ, რომ ამ მომენტისთვის გიორგი ღონღაძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. არსებობს ვერსიაც, რომ ჟურნალისტს გამტაცებლებმა პისტოლეტი თავში ესროლეს, მაგრამ ჭრილობა გამჭოლი არ აღმოჩნდა, ალბათ ახლო მანძილიდან სროლის გამო, და იგი სხეულში დარჩა. კვალის დაფარვის მიზნით გამტაცებლებმა ცხედარს თავი მოაჭრეს.

გენერალური პროკურორის მონაცემებით, ჟურნალისტი ტარაშჩის რაიონში, იქ, სადაც მისი ცხედარი აღმოაჩინეს, არ მოუკლავთ. ეს ბიოლოგიურმა და ბოტანიკურმა ექსპერტიზამაც დაადასტურა.

ქართული წარმომავლობის (გიორგი სულით ხორცამდე ქართველი იყო) უკრაინელი ჟურნალისტის მკვლელობის საქმის გამოძიება ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება, რაც ბევრ ყოფილ თუ მოქმედ მაღალჩინოსანს უკარგავს მოსვენებას. ქვეყნის ხელისუფლება შეუვალია და არწმუნებს საზოგადოებას, რომ მათ, ვინც ამ ხნის განმავლობაში თვალში ნაცარს აყრიდა უკრაინელ ხალხს და ქვეყანაში შიშის სინდრომს აღვივებდა, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯის.

დღეს უკრაინა აღმავლობის გზას ადგას, მარტო ეკონომიკურად კი არა, სამართლებრივადაც და ეს ჩვენთვისაც, უთუოდ, მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ.

**შოთა მაჭარაშვილი,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**თბილისი-კიევი-თბილისი.**

---

1956 წლის 9 მარტი — ავადმოსაგონარ დღეთა ქრონიკა

# პირველი სისხლი

(პირველი გვერდიდან)

სტალინის ამ მედალიონებით დავიარებოდით ჭიათურის რაიონის სოფელ ბჟინევის დაწყებით სკოლაში. ჩვენს გარდა, არც ერთ მოსწავლეს არ გააჩნდა ასეთი მედალიონი, არადა, სტალინის პიროვნების მიმართ თავგადაკლული მოტრფიალენი არასოდეს არ ვყოფილვართ, მით უფრო გვიკვირდა ბაბუა იპოლიტეს ასეთი სიმპათიები ბელადის მიმართ, ვისაც ერთ-ერთი ოჯახური საუბრის დროს „ბოროტი გენია“ უწოდა, მაგრამ ამ ორი სიტყვის მიღმა ბაბუის ერთკუპლეტიანი, სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი იმალებოდა თურმე. ეს ამბავი ზამთრის ერთ სუსხიან საღამოს გაცხადდა, როდესაც აგუზგუზებულ ბუხართან გასაყიდი ქოთნებივით ჩამომსხდარმა ბიჭუნებმა, ბაბუა იპოლიტეს სტალინის პიროვნების შესახებ ბავშვური ცნობისმოყვარეობით აღსავსე შეკითხვა დავუსვით. ბუხრიდან გაშლილი ნაბდის მანძილზე მჯდარმა მოხუცმა პირველად ახსენა სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი. გასაოცარი კი ის იყო, რომ ბაბუა, საერთოდ, არც ლექსებს წერდა და არც არასოდეს მონაწილეობდა პოლიტიკურ ბატალიებში; თავისი პედაგოგიური და სამწერლო საქმიანობით იყო სიკვდილამდე დაკავებული.

სულ ეს იყო და ეს. მას შემდეგ სიტყვა „სტალინი“ მისი ბაგიდან არასოდეს აღარ აღმომხდარა, არც ავად და არც კარგად.

მაგრამ ხომ იყვნენ სტალინის გენიით შთაგონებული ადამიანები, ვისთვისაც მისი პიროვნების კრიტიკა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასა ჰგავდა, რამაც, ბოლოს და ბოლოს, 1956 წლის 9 მარტს სისხლიანი ტრაგედია დაატეხა თავს ქართველ ხალხს.

სტალინისდროინდელი თაობა ამ პიროვნების სიყვარულით იყო ნასაზრდოები და როგორც კი ეს საზრდო მათთვის ამბროზიის ნაცვლად ძმარში გალესილ ნაღველად იქცა, მოთმინების ფიალაც აივსო და მასთან ერთად თავმოყვარეობაშელახულმა და სულში ჩაფურთხებულმა გრძნობამაც იფეთქა. ეს ვულკანის ამოფრქვევას ჰგავდა, რომლის მოთოკვა უკვე აღარაფერს არ შეეძლო, გარდა იმ სისხლიანი ორგიისა, ბართლომეს ღამესაც რომ აჭარბებდა თავისი სისასტიკითა და ულმობელობით...

ამბობენ, დრონი მეფობენ და არა მეფენიო. სტალინის ეპოქაც დამთავრდა, მაგრამ მარათონელის ჩირაღდანივით ანთებული სული მაინც ჩაუქრობელი იყო, რომლის პატარა ნაპერწკალი, ცხადია, ჩვენს სხეულშიც ღვიოდა. ამან ჩვენც თანამონაწილენი გაგვხადა 1956 წლის მარტის დემონსტრაციებისა, — მაშინ თბილისის საავიაციო ტექნიკუმის ე.წ. „ჯიბუტის აკადემიის“ სტუდენტები.

თვით ჩვენთვისაც კი, და არა მარტო ჩვენთვის, უდიდესი საიდუმლოებითაა მოცული 1956 წლის 7 მარტის სისხლიანი ორგია.

აქ უკვე საუბარი აღარ არის სტალინზე: აქ ქართველი ხალხის თავმოყვარეობასა და მის ეროვნულ სიამაყეზეა აქცენტი გადატანილი...

მაშინ ჩვენთვის — საავიაციო ტექნიკუმის სტუდენტთათვის — არავითარი ლექცია და ოჯახი აღარ არსებობდა. მთელი ჩვენი გონება გადართული იყო იმ დიდი მოძრაობისაკენ, სტუდქალაქიდან რომ დაიწყო და ლამის მთელი თბილისი მოიცვა, განსაკუთრებით კი მაშინდელი კავშირგაბმულობის სახლი, დღევანდელი თავისუფლების მოედანი და სანაპირო.

ზღვა ხალხის აზვირთებულ მორევში დაკარგულები ამაოდ ვცდილობდით სტალინის ძეგლამდე მიღწევას, რათა ჩვენი ხმაც როგორმე მიგვეწვდინა ქვეყნიერებისთვის და როგორღაც ისევ ავსულიყავით იმ ქართველური თავმოყვარეობის კვარცხლბეკზე, რომელზედაც მანამდე ვიდექით და რომელიც თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალა, ანუ დაინგრა ჩვენი ახალგაზრდული რწმენის ტაძრები და მის ნანგრევებში მოვყევით ყველა...

მას შემდეგ თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო, მაგრამ მეხსიერებიდან მაინც არ ამოდის მარტის ის ერთკვირიანი დღეები, მონაწილეთა მხურვალე გამოსვლები, სიტყვები, ლექსები, გვირგვინებით შემკული სტალინის ძეგლი და კვარცხლბეკი, არც ის წუთები, ახალგაზრდები მანქანებში რომ სხდებოდნენ და კრწანისისკენ მიემართებოდნენ ჩინეთის მაშინდელ სამხედრო მინისტრ ჯუ დესთან შესახვედრად, მოსალაპარაკებლად და შემდეგ მისი გორში წასაყვანად...

გედის სიმღერას ჰგავდა მათი მამულიშვილური შეძახილები თუ პატრიოტული აღტკინება, მირაჟივით მიუწვდომელი და აუხდენელი სულისკვეთება... არავინ უწყოდა, რომ სულ მალე ვიღაცის მსახვრალი ხელი სიკვდილის ცელით მოაშთობდა ათობით ახალგაზრდის სიცოცხლეს.



„მწუხარე საქართველო“ (ეძღვნება 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკულ მოვლენებს).
მხატვარი გიორგი ვართაგავა.

აპოკალიფსური თვალებით შეჭურვილი ბედისმწერალი საიდანაღაც მარადიულად ჭვრეტდა იმ სისხლიან ორგიას; თავად იძლეოდა ბრძანებას და თავადვე სვამდა აწ უკვე დანთხეულ, ლეკერტ, შედედებულ სისხლს...

ამ სისხლს ამომავალი მკვდრის მზე აელვარებდა უცნაურად, ჯარისკაცები კი წყლის ძლიერი ნაკადით რეცხავდნენ სტალინის ძეგლის მოპირდაპირე ქუჩას, რომელზედაც ტრამვაის ვაგონებმა გაიარა ნელი სვლით. ამ ვაგონებში მხოლოდ ჩვენ ორნი, წუხანდელ სროლებს სასწაულად გადარჩენილი ძმები ვისხედით და ვხედავდით აწ უკვე უკაცრიელსა და სისხლის სუნით გაჟღენთილ სანაპიროს. თვით ლიანდაგებიც კი წყლითა და სისხლის ნაზავით იყო დაფარული...

ხოლო თავად ისინი, ვინაც ეს უდანაშაულო სისხლი გაიღო, საავიაციო ტექნიკუმის პირდაპირ, დღევანდელი ალადაშვილის სახელობის კლინიკის ფოიეში ეყარნენ ტომრებივით.

საავადმყოფოს კარი ღია და სრულიად უმეთვალყურეოდ იყო დარჩენილი; ამან კი ფოიეში შესვლისა და მიცვალებულთა ნახვის საშუალება მოგვცა.

ეს იყო ნამდვილი დანტეს ჯოჯოხეთი — გაცოცხლებული გუსტავ დორეს გრაფიკულ სერიებში ან თუნდაც სცენა მიქელანჯელოს „საშინელი სამსჯავროდან“.

მაგრამ სულ მალე საავადმყოფოს კარიბჭე დაიხშო თვით ჭირისუფლებისთვისაც კი და თუ ზოგიერთი მათგანი მაინც ახერხებდა ფოიეში შეღწევას, ეს მხოლოდ ერთი იქაური მადლიანი ექიმის წყალობით, ვის შესახებაც 2004 წლის ნოემბერში გვიამბობდა მისი ქალიშვილი, ქალბატონი დარეჯანი, ისიც იმავე კლინიკის ღირსეული და კეთილშობილებით აღსავსე ექიმი-დასტაქარი. მძიმე იყო იმ გარდასულ დღეთა გახსენება და იმ ფოიეს ნახვა, ერთ დროს დანტეს ჯოჯოხეთად რომ აქცია 1956 წელს 9 აპრილის სისხლიანმა ორგიამ.

* * *

წიგნში „სისხლიანი პარასკევი“ პროფესორი ნოდარ ნათაძე ამ რეპრესიის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ მაშინ მოსკოვიდან ჩამოსულ შიკინს ასახელებს. „ეს ის პირი იყო, — წერს ბატონი ნოდარი, — ვინც რამდენიმე თვის შემდეგ უნგრეთში ჩატარებულ რეპრესიებში არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა. სხვათა შორის, რუსების მიერ თბილისში გამოყენებული ტაქტიკა გარკვეულწილად იქაც განმეორდა. ნოემბერში, დასავლეთის რადიოს რომ ვისმენდი, მენიშნა, რომ ბუდაპეშტის ქუჩებში ტანკები მუხლუხებით მოქმედებდნენ, მაგრამ არ ისროდნენ“.

განგებამ ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი — ავთანდილიც კინაღამ იმ სისხლიანი ორგიის თანამონაწილედ აქცია უკრაინაში, ქ. მელიტოპოლის საავიაციო ნაწილში სამსახურის დროს, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მომხდარა, სამაგიეროდ რუსულ ტანკებს გაუსრესიათ ის უნგრელი ბავშვები, მათ მშობლებს საგულდაგულოდ რომ დაუსვამთ დედაქალაქთან შემაერთებელ ხიდზე, რათა ამით ტანკისტთა წინსვლა შეეჩერებინათ.

უნებურად ადამიანს თბილისში, ვანქის ტაძართან მტრის მიერ ცხენის ფლოქვებით გალეწილი ბავშვთა კალო შეახსენებს თავს, რომელსაც ტიციან ტაბიძემ ერთი მშვენიერი ლექსი მიუძღვნა...

1956 წლის 9 მარტის ამბები გაუგებარი როდი დარჩენილა ჩვენი საავიაციო პოლკის მეთაურის, გენერალ სტეპანოვისათვისაც. ოდესღაც თბილისში ნამსახურს ორიოდე ქართული სიტყვაც კი ესმოდა. აშკარად იგრძნობოდა მისი სიძულვილი ქართველი კურსანტებისადმი, რაც გამოიხატა ჩვენდამი რუსულ-ქართულად მომართულ სიტყვებში: „ჭკუით იყავით, მოგი...ან და მოგინათლე აქ აღარ გამოგივათო“...

* * *

ჩვენ ერთი ღირსეული სიძე-ბატონი გვყავდა, დეიდაშვილის ქმარი შოთა ლომიძე, საჩხერის რაიონის სოფელ ლიჩის მკვიდრი, ამავე სოფლის უცვლელი თავმჯდომარე 40 წლის მანძილზე, ომის წლებში ფრონტზე ნებით გაპარული და მამის საბრძოლო კვალს დადევნებული პირტიტველა ბიჭი და, რაც მთავარია, თავგადამკვდარი სტალინელი, მისი მეხოტბე და მადიდებელი, ნებისმიერ სუფრას სტალინის სადღეგრძელოთი ამთავრებდა, ჟუკოვის სიტყვებს იშველიებდა და ამ სიტყვებს ხმამაღლა, არტისტული ჟესტიკულაციით წარმოთქვამდა ხოლმე რუსულად, ვაი იმ თამადას, ვინც სუფრას ბელადის ხოტბით არ დაასრულებდა! ერთი ვაი-უშველებელი და ღვინით სავსე თასი ჯარიმად ატყდებოდა თავზე. თვით მაგიდასთან ღრმად ჩაძინებულსაც კი არ გამოეპარებოდა თამადის „ღალატი“ და, რაც არ უნდა სტალინის მოძულე ყოფილიყო, მის სადღეგრძელოს მაინც ქება-დიდებით შეასმევდა.

ერთხელაც ამავე მდგომარეობაში აღმოვჩნდით ჩვენც და შოთა-ბატონმა მაშინვე სტალინისადმი უპატივცემულობის ბრალდება მოგვაკერა იარლიყად, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ უკანვე წაიღო ეს ბრალდება, როდესაც მაღაზიაში შეიძინა ჩვენს მიერ მხატვრულად გაფორმებული ორი წიგნი: „მე — იოსებ სტალინი“...

აქედან გამომდინარე, მკითხველს წარმოდგენილი ექნება, თუ რა დღეში უნდა ყოფილიყო გამოუსწორებელი სტალინელი შოთა ლომიძე 1956 წლის 9 მარტის დღეებში.

**ავთანდილ ვართაგავა,**
**ტარიელ ვართაგავა.**

---

# ჩემი თაობის რევოლუცია

**დიახ, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩემი თაობის რევოლუციის მცდელობა საბჭოთა რეჟიმის პერიოდში. მე მაშინ მხოლოდ თხუთმეტი წლის გახლდით.**

ყველაფერი კი 1956 წლის 20 თებერვლის სკკპ XX ყრილობიდან დაიწყო, სადაც იმ პერიოდის ცკ-ს პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინის პიროვნების კრიტიკით გამოვიდა. მაშინ სტალინის კრიტიკა ხალხმა მეტად მტკივნეულად მიიღო.

თბილისში 5 მარტიდან, სტალინის გარდაცვალების დღიდან, დაიწყო საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები. ხალხი სანაპიროსკენ, სტალინის ძეგლისკენ მიეშურებოდა, მიჰქონდათ ყვავილები, გვირგვინები, დაწესდა საპატიო ყარაული, შეიქმნა სამიტინგო შტაბი, მიტინგი დღე და ღამე არ წყდებოდა. მომიტინგეები მთავრობის ხელმძღვანელების მოსვლას და მათ მიერ სტალინის საქმიანობის შეფასებას თხოულობდნენ. ცენტრალურ მოედანზე მაშინდელი ცკ-ს პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე იძულებით მოიყვანეს. მან სცადა ხალხის დამშვიდება და სიტყვით გამოსვლა რუსულად დაიწყო, როცა რამდენჯერმე სიტყვა „Товарищи“ გაიმეორა, ქართულად, ქართულად, — აყვირდა ხალხი და შემდგომ კი სტვენითა და უკმაყოფილო შეძახილებით გააცილეს. ქალაქში სატვირთო მანქანები მოძრაობდნენ, რომლებზეც მსახიობები „ლენინს“ და „სტალინს“ ანსახიერებდნენ. ბელადის ძეგლი კი სანაპიროზე გვირგვინით იყო შემკული. აქა-იქ პოლიტბიუროს წევრების სურათებიც მოჩანდა. იყო ხრუშჩოვის სურათიც, მხოლოდ ის თავდაყირა ეკიდა. „Я Хрущёв!“ ასეთი წარწერით დარბოდნენ ქალაქში ჩასუქებული ღორები.

სულ სამიოდე დღეში მარტის მღელვარებას პატრიოტული ელფერი მიეცა. ახალგაზრდობა ძალზე აღტყინებული იყო. მარტის ხუთიოდე დღემ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოსა და, შეიძლება ითქვას, მთელი საბჭოეთის ცხოვრებაში. ჩვენი პროტესტი მეტად გაბედული ნაბიჯი იყო არსებული წყობილების მიმართ, რაც დაუსჯელი არ დარჩებოდა და ასეც მოხდა. უკვე 9 მარტს ჩვენი პატრიოტული სულისკვეთება სისხლში ჩაახშვეს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა პროტესტმა მნიშვნელოვანი ბზარი გაუჩინა საბჭოთა წყობას, რომელიც შემდგომ განვითარდა და დაანგრია კიდევაც იმხელა იმპერია.

მივყვეთ მოვლენათა განვითარებას.

9 მარტისთვის ხალხის მღელვარებამ აპოგეას მიაღწია, საჭირო იყო განმუხტვა. მოსალოდნელ შედეგებსა და მსხვერპლზე უკვე აშკარად საუბრობდნენ. მით უმეტეს, რომ ახალი ისტორიიდან ამის უამრავი მაგალითი გვქონდა — გერმანიის, უნგრეთის, საბჭოთა ხალხების მასობრივი გადასახლებები, დახვრეტები და ა. შ. და აი, უკვე 9 მარტს, როცა მღელვარებამ აპოგეას მიაღწია, ტრიბუნიდან გაისმა პროვოკაციული მოწოდება, გაეგზავნათ დეპეშა მოლოტოვისთვის, მიელოცათ მისთვის დაბადების დღე — 9 მარტი. დეპეშის გასაგზავნად კავშირგაბმულობის სახლში, რომელიც



სტრატეგიულ ობიექტად ითვლებოდა და ჯარი იცავდა, ახალგაზრდების გუნდი გაიგზავნა, რაც სტრატეგიულ ობიექტზე თავდასხმის პროვოკაციის მოწყობის საწინდრად იქცა. მიტინგზე სიტუაცია მეტად დაიძაბა, როცა კავშირგაბმულობის სახლიდან დასისხლიანებული ახალგაზრდა მობრუნდა და ჯარისკაცების ძალადობის შესახებ ამცნო მომიტინგეებს. ხალხი ეროვნულმა აღტყინებამ მოიცვა: „ძირს რუსეთის იმპერია! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ — ისმოდა რუპორებიდან. მომიტინგეებს ორატორები კავშირგაბმულობის სახლის აღებისკენ მოუწოდებდნენ, რათა მსოფლიოსთვის ემცნოთ, რომ ქართველ ხალხს არ სურდა საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა...

ეს ნამდვილი რევოლუციის დასაწყისი იყო.

მიტინგიდან სკოლის მოსწავლეები და სტუდენტობა კავშირგაბმულობის სახლისკენ დავიძარით. იარაღი, რასაკვირველია, არ გვქონდა, ამიტომ ხის მსხვილი ტოტებით შევიარაღდით. შენობის მასიური კარის უკან ჯარისკაცები იდგნენ, რომლებიც კარს ვეღარ იმაგრებდნენ. კართან ხელჩართული ბრძოლა დაიწყო და ამ დროს გასცეს ალბათ ბრძანება სროლის შესახებ. აკაკუნდა უამრავი ავტომატი, ისროდნენ ფანჯრებიდან და სახურავებიდან. კიბეზე მდგომი ახალგაზრდობა გადაგვირჩინა იმან, რომ ჩვენთვის მიბრჯნით ახლოდან არ უსვრიათ. სულის მოთქმისა და კედელთან ამოფარების საშუალება მოგვცეს, ალბათ იმიტომ, რომ დიდ მსხვერპლს მოერიდნენ. როგორც შემდგომ გავიგე, ასეთივე სროლა ყოფილა სანაპიროზეც, სტალინის ძეგლთან.

რასაკვირველია, ტრაგედიის „შესასწავლად“ მოსკოვიდან კომისია გამოგზავნეს, რომელსაც საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ოვსიანიკოვი ხელმძღვანელობდა. მან მოითხოვა, რომ საექსპერტო კომისიის აქტში ჩაეწერათ, თითქოს ყველა დაღუპულს ტყვია წინიდან ჰქონდა მოხვედრილი. ჩვენი მედპერსონალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოვსიანიკოვის ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. პირიქით, მაშინდელმა მთავარმა ექსპერტმა, პროფესორმა გიორგი მათიაშვილმა გაბედულად მოაწერა ხელი დასკვნებს, სადაც ახალგაზრდებს სიკვდილის მიზეზად ზურგში ნასროლი ჭრილობები დაუფიქსირდათ. გვინდა, ბატონ ჟორა (როგორც მას შინაურები ეძახდნენ) მათიაშვილთან და თქვენთან ერთად მოვიგონოთ ჩვენი სასიქადულო პოეტი, ნამდვილად პატრიოტი იოსებ ნონეშვილი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეებში ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა და ამისთვის შეიძლება მკაცრად დასჯილიყო, ქალაქის აქტივზე, სადაც საბჭოეთის ოფიციალურმა პირებმა, მათ შორის ქალაქის გარნიზონის უფროსმა — გლადტკოვმა, ოლქის ჯარების სარდალმა ფედიუნინსკიმ და ჩამოსულმა მაღალჩინოსნებმა მეტად მკაცრი შეფასება მისცეს მარტის მოვლენებს და ამასთან ერთად, ქართველი ერიც გალანძღეს როგორც ნაციონალისტები და სეპარატიზმის მოსურნენი, ადგა და პირდაპირ მიმართა მათ: ბატონებო, თუ თქვენ გაივლით ჩვენი ქალაქის ძველ ნაწილში, შეუძლებელია, ვერ შეამჩნიოთ, რომ ერთ მტკაველ მიწაზე, რომელიც თბილისის ადრინდელ ცენტრს წარმოადგენდა, თითქმის ერთმანეთის გვერდით დგას სხვადასხვა რწმენის ხალხთა სალოცავები — მეჩეთი, სინაგოგა, მართლმადიდებლური, გრიგორიანური, კათოლიკური ეკლესიები. შეიძლება ერს ეწოდოს ნაციონალისტი, თუ ის სხვა ხალხებს აძლევს ამის საშუალებას? მითხარით, თუ არის სადმე ანალოგი? როგორც ამბობენ, მისი გამოსვლა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ რუსების აგრესია სწრაფად ჩაცხრა.

აპრილის მეორე დეკადაში თბილისში ჩამოსულა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი შვარცი, რომელმაც გამოკითხვით დაადგინა, რომ დაღუპულთა რაოდენობა 160-მდე იყო. ეს რიცხვი არ იქნება სწორი, აღნიშნავს თვითონ შვარცი, ვინაიდან, უამრავი გვამი მტკვარში გადაყარეს, ნაწილი კი ოჯახებმა დამალეს, რადგან რეპრესიების შეეშინდათ, ამიტომ დაღუპულთა რაოდენობის დაზუსტება შეუძლებელიაო. ასე მიმაჩნია მეც, თუმცა ექსპერტიზაზე სულ ოცდაათამდე გვამი იყო წარდგენილი.

**ოთარ ურუშაძე.**

⊙ კატეგორიების დიდი მოაზროვნენი

კატლინ რიორდანი

# გიორგი გურჯიევი

## „საჭიროა ჩვენი „მეების ერთმანეთთან გაცნობა“

**გავეცნოთ გურჯიევის რამდენიმე შეხედულებას ადამიანზე და მის გარემომცველ სამყაროზე. გურჯიევი წერს:** „ადამიანი მინიატიურა-უნივერსუმია (სამყაროა)“. მასში მოცემულია ყველა სახის მატერია, რომელთაგანაც სამყარო შედგება. ადამიანშიც მოქმედებენ ის ძალები და კანონები, სამყაროს არსებობას რომ წარმართავენ. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია, გამოვიკვლიოთ მთელი სამყარო, თუ ადამიანს გამოვიკვლევთ, ისევე, როგორც შეგვიძლია, გამოვიკვლიოთ ადამიანი, თუკი სამყაროს გამოვიკვლევთ“.

ადამიანი რომ სრულფასოვნად გამოვიკვლიოთ, მისთვის დამახასიათებელი თვისებები სწორად გავაანალიზოთ, საჭიროა, მისი ფსიქოლოგია ორი თვალსაზრისით განვიხილოთ: 1. იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელშიც იგი ახლა იმყოფება; 2. იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელშიც იგი იქნებოდა მაშინ, თუ სრულად შეიცნობდა თავის შესაძლებლობებს და დანიშნულებას. ადამიანის მდგომარეობა, რომელშიც იგი ახლა იმყოფება, ძირეულად განსხვავდება იმ წარმოდგენისაგან, რომელიც მას ჩვეულებრივ თავის თავზე აქვს ხოლმე. ყოველი ადამიანი მიიჩნევს, დარწმუნებულია, რომ თითოეული მათგანი მუდმივი, მთლიანი პიროვნებაა. ადამიანი როცა ამბობს „ჩემი მე“, ამით თავის თავს გულისხმობს როგორც მთლიანობას, თავისი „მე“ მას ჰგონია როგორც მუდმივი, ერთი და იგივე პიროვნება ყოველდღე და ყოველ მომენტში. ასეთად წარმოვუდგებით და ვესახებით ჩვენ სხვებს და ეს სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება. გურჯიევი წერს: „მთლიანობის და იდენტურობის ილუზიას ადამიანი თვითონვე იქმნის, რადგან იგი ყოველდღე ახდენს საკუთარი ფიზიკური სხეულის გრძნობად აღქმას; გარდა ამისა, ადამიანს ჰქვია სახელი, მუდამ რომ ესმის და მუდამ უცვლელი რჩება და ასევე ბუნებრივად შეთვისებული ჩვევების მეშვეობით. რადგან ადამიანს მუდამ ერთი და იგივე შეგრძნებები აქვს, მუდამ ერთი და იგივე სახელი ესმის და ერთი და იგივე ჩვევებს ავლენს, ჰგონია, რომ თვითონაც მუდამ იგივე მთლიანი პიროვნებაა. სინამდვილეში კი მის ქცევაზე დაკვირვებისას უნდა ვიგულისხმოთ არა ერთი, არამედ მრავალი „მე“. ეს „მეები“ მოზრდილ ადამიანს შეიძლება, ათასობით ჰქონდეს. ზოგჯერ წინა პლანზე ეს „მე“ დგას, სხვა დროს კი წინ სხვა „მე“ წამოიწევს, რომელიც შეიძლება, ჰარმონიაში იყოს წინა „მესთან“, ანდა არა. „მეებს“ შორის ხშირად იქმნება ფარული დაცვითი სისტემები, ეგრეთწოდებული „ბუფერი“. შეიძლება, „მეები“ ჯგუფებადაც იყვნენ გაერთიანებული. ზოგჯერ „მეები“ ერთმანეთს იცნობენ, რადგან ასოციაციური კავშირები აქვთ, ზოგჯერ კი არა. ერთ „მეს“ შეუძლია დაპირების მიცემა ისე, რომ მეორე „მემ“ ამის შესახებ არაფერი იცის, რის გამოც მას არ სურს დაპირების შესრულება. მაგალითად, ერთ „მეს“ სურს რაღაცის გაკეთება, მეორე „მე“ კი ამის სასტიკი წინააღმდეგია; შეიძლება, ერთი „მე“ ქორწინების აღფრთოვანებული მომხრეა, მეორე „მეს“ კი ამის გაგონებაც არ სურს. ცალკეულ „მეებს“ შეუძლიათ, მხარი დაუჭირონ რაიმე საქმეს, სხვა „მეებმა“ კი ეს საქმე ჩაშალონ. ამის გამო ადამიანი აფორიაქებული და შინაგან მღელვარებაშია. ფსიქოთერაპევტული ტექნიკის მოშველიებით შეიძლება მოისპოს ბუფერთა დამცველი პოზიციები, რათა ჩვენმა „მეებმა“ ერთმანეთი გაიცნონ. ეს კი ჩვენი ერთი მთლიანი, ნამდვილი „მეს“ გამოკრისტალების საწინდარია, რისი მეშვეობითაც თავს დავაღწევთ ილუზიებს და რეალურ, ჭეშმარიტ ცხოვრებას დავიწყებთ.

### 3. „ადამიანი მანქანაა“

გურჯიევის თვალსაზრისით, ადამიანის ცხოვრება მთლიანად მექანიკური კანონებით განისაზღვრება. როდესაც რომელიმე „მე“ მოცემულ მომენტში პიროვნების ქცევას არეგულირებს, ეს მის საკუთარ გადაწყვეტილებას კი არ ემყარება, არამედ მის რეაქციას გარესამყაროს მიმართ. ადამიანს მის გარშემო შექმნილი პი-



რობების გამო არ შეუძლია არჩევანის გაკეთება, რომ ის რომელიმე „მე“ იყოს, თუნდაც ეს ძალიან უნდოდეს. აქ მთავარ „მოქმედ პირად“ უკვე სიტუაცია გვევლინება და არა „მე“. იგი თვითონ არ არის აქტიური, არამედ გარეშე ზეგავლენაზეა დამოკიდებული. მას არა აქვს დამოუკიდებლად მოქმედების უნარი, არა აქვს ნების თავისუფლება, უფრო მეტიც, საერთოდ არ გააჩნია ნება. გურჯიევი წერს: „ადამიანი მანქანაა. ყოველი მისი საქციელი, სიტყვა, აზრი, გრძნობა, რწმენა, მოქმედება, შეხედულება თუ ჩვევა, – ყოველივე ეს გარე ზეგავლენის შედეგია. თვითონ, თავისით ადამიანს არ შეუძლია რაიმე აზრის გამოხატვა ან რაიმე მოქმედების განხორციელება. ყოველივე, რასაც ადამიანი აკეთებს, ფიქრობს თუ გრძნობს, თავისით ხდება, რაც გარე ზეგავლენით არის განპირობებული. ადამიანი იბადება, ცოცხლობს, კვდება, აშენებს სახლებს თუ წერს წიგნებს, არა იმიტომ, რომ მას ასე თუ ისე სურს, არამედ ისე, როგორც ეს ხდება. ყველაფერი ხდება. ადამიანს არ სურს, არ ისწრაფვის, არ უყვარს, – ყოველივე ეს ხდება“.

ამგვარად, ადამიანი მანქანაა, ძალიან რთული მანქანა, რომელსაც სხვა მანქანებისგან განსხვავებით, აქვს საშუალება იცოდეს, რომ ის მანქანაა. ადამიანს შეუძლია, თვითონ გამოიკვლიოს საკუთარი თავი, რაც მას გზას გაუხსნის უფრო მაღალი განვითარების საფეხურისკენ. მაგრამ ეს კვლევა, ისევე, როგორც ყოველი კომპლექსური სისტემის შესწავლა, დიდხანს გრძელდება და დიდ ამტანობას და ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს.

### 4. ადამიანი ვერ იყენებს თავის უნარ-შესაძლებლობებს, ტყუილად ხარჯავს ენერგიას, რადგან არასწორად ფუნქციონირებს მისი ცენტრები

გურჯიევის მოძღვრების მიხედვით, ადამიანს სამი ძირითადი მაფუნქციონირებელი ცენტრი აქვს. ეს სამი ცენტრი შეესაბამება სამ სხვადასხვა ფუნქციას: პირველი წარმოადგენს ინტელექტის ცენტრს, მეორე – გრძნობის ცენტრს და მესამე – სამი ფუნქციისათვის განკუთვნილ ცენტრს (ესენია მოძრაობის, ინსტინქტის და სექსუალური ცენტრები). ამ ხუთი ცენტრის გარდა, ყოველ ნორმალურ ადამიანში რომ ფუნქციონირებს, არსებობს კიდევ ორი ცენტრი – უმაღლესი ინტელექტის ცენტრი და უმაღლესი ემოციის ცენტრი. ადამიანში ეს ხუთი ქვედა ცენტრი არაჰარმონიულად და შეუთანხმებლად ფუნქციონირებს, ხოლო უმაღლესი ცენტრები საერთოდ გამოუყენებელი რჩება. ცენტრები ხარჯავენ სხვადასხვა ენერგიას, რომლის დროსაც ერთი ცენტრი მეორისგან იღებს ან პარავს ენერგიას ისე, რომ მისი სწორად გამოყენება არ ძალუძს. ცენტრები ხშირად იღებენ თავის თავზე ფუნქციებს, რომლებიც მათ სრულიადაც არ შეესაბამება, რის გამოც ხელს უშლიან ერთმანეთს ფუნქციონირების დროს. ჩვეულებრივ, ყველა ცენტრი ენერგიასართმევს სექსუალურ ცენტრს, რომელსაც ემოციის უფრო მაღალი უნარი აქვს და ამიტომ ის სრულიად გამოუყენებელი რჩება. ეს მაღალი ენერგია იკარგება ფანატიზმის, ვნებების და მცდარი ენთუზიაზმის სახით, მაშინ როცა სექსუალურ ცენტრს არასაკმარისად მომუშავე მძიმე მანქანასავით უწევს მცირე ენერგიით მუშაობა და, პრაქტიკულად, თავის სრულ სიმძლავრეს ვერასოდეს იყენებს. ვერც სხვა ცენტრები იყენებენ სრულად თავიანთ პოტენციალს. ემოციის ცენტრს რომ თავისი სრული გამოვლინებით ემუშავა, მაშინ ის კავშირს დაამყარებდა უფრო მაღალი ემოციის ცენტრთან. ასევე, სწორი ფუნქციონირების შემთხვევაში ინტელექტის ცენტრი დაუკავშირდებოდა თავის შესაბამის უმაღლეს ცენტრს. ასეთი კავშირები განაპირობებენ გაწონასწორება-ბალანსირებას მაღალი და დაბალი ცენტრების რხევის არეებს შორის. აქედან გამომდინარე, უმაღლეს ცენტრებთან მტკიცე, ხანგრძლივი კავშირის დამყარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მანამდე მოწესრიგდებოდა დაბალი ცენტრების მუშაობა. ქვედა ცენტრები არათუ არ იყენებენ თავიანთ უნარ-შესაძლებლობებს, არამედ ერთმანეთს ენერგიას პარავენ და შეუთანხმებლად, ფუჭად მოქმედებენ. თვით ცენტრის შიგნითაც ფუჭად იხარჯება ძალები. ყოველი ცენტრი შეიცავს სამ ნაწილს – ინტელექტურს, ემოციონალურს და მოტორულს. ყოველ ამ ნაწილს თავისი პოზიტიური და ნეგატიური მხარე აქვს. ინტელექტის ცენტრის ცუდი მუშაობის მაგალითად მაურის ნიკოლი (გურჯიევის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე) წერს: „მექანიკური ნაწილი განაგებს ყველა მოგონების, ასოციაციის და შთაბეჭდილების რეგისტრირებას. ამის გაკეთება კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ყველა სხვა ცენტრი და ცენტრის ნაწილი თავის სამუშაოს სწორად ასრულებს. მან ისე უნდა შეასრულოს ეს სარეგისტრაციო სამუშაო, როგორც მდივანმა ქალმა, რომელიც სხვის ნათქვამს იწერს, აწესრიგებს და ა. შ. იგი, ასე ვთქვათ, არ უნდა პასუხობდეს იმ შეკითხვებს, ცენტრის მიმართ რომ არის დასმული და არ უნდა იღებდეს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. მაგრამ, საუბედუროდ, იგი მაინც მუდამ ამას აკეთებს, თავისი შეზღუდული მანერით პასუხობს შეკითხვებზე წინასწარ მომზადებული ფრაზებით, მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს და ყველა სიტუაციაში იმავე მექანიკური მანერით მოქმედებს (მაურის ნიკოლი, 1952, გვ. 72).

გურჯიევის საკლასიფიკაციო სქემის მიხედვით, ზემოაღნიშნული სამი ცენტრის ფუნქციებს რომ ეხება, ერთი ადამიანის საქციელს შეიძლება, განსაზღვრავდეს უფრო გონება, ვიდრე გული, მეორე ადამიანის არსებაში კი გრძნობები ბატონობს, რომლის დროსაც მას ლოგიკური აზროვნება აკლია. ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე ისეა „მოწყობილი“ თუ ჩამოყალიბებული, რომ მისი ერთ-ერთი ცენტრი დანარჩენ ორზე ბატონობს. გურჯიევის სქემაში ერთ ადამიანს თავისი სიმძიმის ცენტრი მოტორულ და ინსტინქტურ ფუნქციებზე აქვს გადატანილი, მეორე ადამიანი უფრო გრძნობებისკენ იხრება, ხოლო მესამე ადამიანის ყოფაქცევა ცოდნას და თეორიულ შეხედულებებს ემყარება. ყველა ეს ადამიანი მეტ-ნაკლებად ერთსა და იმავე საფეხურზე იმყოფება, რადგან თითოეულ მათგანს შინაგანი მთლიანობა და ნებისყოფა აკლია. მაგრამ ისინი ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ ყოველი მათგანი განსხვავებულ ფუნქციას ემყარება. ეს ადამიანები განსხვავდებიან, აგრეთვე თავიანთი ჩვეულებებით, გემოვნებით და ცხოვრების სტილით.

ჩვეულებრივ მდგომარეობაში ადამიანი, რომელ ტიპსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს იგი, ისე ვერ იცნობიერებს თავის თავს, როგორც ეს მას ჰგონია (ე. ი. სინამდვილე სულ სხვაა, მის მიერ აღქმული კი – სულ სხვა). ნამდვილი, სწორი გააზრება და აღქმის უნარი ნიშნავს, რომ ადამიანს ჰქონდეს არაილუზორული წარმოდგენა თავისი ინტელექტური და მოტორულ-ემოციური ფუნქციების შესახებ. მაგრამ ადამიანის ცნობიერება ბუნდოვანია, ცვალებადი, არამყარი და სრულიად დაცილებულია თავის უნარშესაძლებლობებს...

**გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 53.

***რედაქციისგან:** ქართველი მკითხველი მალე მიიღებს საქართველოს სახელმწიფო ენციკლოპედიის მე-2 ტომს, რომელშიც გიორგი გურჯიევს საკმაო ადგილი ეთმობა. მასში სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად ყურადღება მახვილდება აგრეთვე ერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო დეტალზე, ამ დიდი მოაზროვნის წარმომავლობას რომ უკავშირდება. თავის უმთავრეს და უდიდეს თხზულებაში (მისი მოცულობა 1000 გვერდს აღემატება) – „ადამიანის ცხოვრების მიუკერძოებელი, ობიექტური კრიტიკა“ – გიორგი გურჯიევი წერს: „ბავშვობის ასაკში მეტსახელად „ტატაკი“ მერქვა, მოწიფულობის ხანაში – „შავი ბერძენი“, შუახნის ასაკში – „თურქესტანული ვეფხვი“, მაგრამ მე სხვა არავინა ვარ, თუ არა ჭეშმარიტი გვარიშვილი – გახლავართ თავად მუხრანსკის შვილიშვილი“. ვფიქრობთ, ამ სიტყვებში, გარკვეულწილად, ვლინდება გურჯიევის ნათესაური დამოკიდებულება ქართველ ხალხთან, რასაც სხვა მრავალ მკვლევარს შორის ამტკიცებდა ცნობილი მეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე მიხეილ კვესელავა.*

## მოლდავეთში გამართულ არჩევნებში კომუნისტები იმარჯვებენ



**მოლდავეთის საპარლამენტო არჩევნებში თითქმის ყველა ბიულეტენის დამუშავების შედეგების თანახმად, ლიდერობს კომუნისტთა მმართველი პარტია, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 46 პროცენტი მიიღო.**

წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ სამმა პარტიამ დაძლია პარლამენტში მოხვედრისთვის საჭირო ბარიერი.

ცენტრისტულ ბლოკს „დემოკრატიულ მოლდავეთს“ ხმა მისცა ამომრჩეველთა 28 პროცენტზე მეტმა, ქრისტიანულ-დემოკრატიულ სახალხო პარტიას კი, რომელიც რუმინეთთან უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობის მომხრეა – 9 პროცენტზე მეტმა.

ამომრჩეველთა გამოცხადების მაჩვენებელმა დაახლოებით 60 პროცენტს მიაღწია.

მიმომხილველთა აზრით, ოპოზიციურმა პარტიებმა ამ არჩევნებში გაცილებით უკეთეს მაჩვენებელს მიაღწიეს, ვიდრე ეს სავარაუდო იყო.

არსებული შეფასებების თანახმად, კომუნისტები პარლამენტში 101 ადგილიდან 57-ს მიიღებენ, რაც მათ მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ პარლამენტის ხელმძღვანელობა და ქვეყნის მთავრობა.

მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტის არჩევისთვის საჭიროა, რომ ერთ კანდიდატს ხმა მისცეს, სულ ცოტა, 61 დეპუტატმა. ამიტომ კომუნისტებს მოუწევთ, მოურიგდნენ ოპოზიციას სახელმწიფოს მეთაურის არჩევის საკითხში.

ოპოზიციამ უკვე გააკეთა განცხადებები არჩევნების დროს დარღვევების შესახებ. კენჭისყრის მიმდინარეობას აკვირდებოდა ათასამდე საერთაშორისო მეთვალყურე.

## ერაყში დაიღუპნენ პოლიციელები

**ბაღდადიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ბაქუბაში შეიარაღებული შეტაკების შედეგად დაიღუპა ხუთი და დაიჭრა ექვსი ერაყელი ჯარისკაცი.**

ამ ინცინდენტიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ ორი პოლიციელი დაიღუპა ავტომობილის აფეთქების შედეგად, რომელშიც დადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა. მანქანა აფეთქდა მაშინ, როცა მას გვერდით ჩაუარა პოლიციელთა ბადრაგმა, რომელიც მიემართებოდა ქალაქ ბაქუბისკენ.



ერაყის ამ ქალაქში, რომელშიც ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ სუნიტები და შიიტები, მსგავსი თავდასხმები თითქმის ყოველდღე ხდება.

სროლა ატყდა დილის შვიდ საათზე მურადიის რაიონში მდებარე საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან. თავდამსხმელებმა ერაყელ ჯარისკაცებს ნაღმსატყორცნებისა და ავტომატური იარაღის ცეცხლი გაუხსნეს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, მოთარეშეებმა ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ასევე ქალაქის ცენტრს, სადაც განლაგებულია ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობა. ამჯერად თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ერაყში არჩევნების დროს დამყარებული შედარებით მშვიდი ვითარების შემდეგ, ამ ბოლო ხანებში მოთარეშეებმა კვლავ გააააქტიურეს მოქმედება. ისინი თავს ესხმიან იმ ადამიანებს, რომლებიც მხარს უჭერენ ერაყის ახალ რეჟიმს და თანამშრომლობენ უცხო ქვეყნების სამხედრო ძალებთან.

ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ ერაყში დაიღუპა ბულგარელი ჯარისკაცი. ეს განაცხადა ბულგარეთის თავდაცვის მინისტრმა ნიკოლაი სვინაროვმა.

როგორც მინისტრმა თქვა, ბულგარელ ჯარისკაცს შეცდომით გაუხსნეს ცეცხლი ამერიკელმა სამხედროებმა.

## ჯორჯ ბუშმა დაადასტურა, რომ კვლავ ენდობა ვლადიმერ პუტინს

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მას ვლადიმერ პუტინთან კარგი და მიმნდობი ურთიერთობა აქვს. ბუშმა დაადასტურა, რომ მისი მომავალი შეხვედრა პუტინთან გაიმართება მოსკოვში, გამარჯვების 60 წლისთავის ზეიმის დროს. ეს თეთრი სახლის მეთაურმა განაცხადა გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**



როგორც ბუშმა თქვა, ბრატისლავაში ამ ცოტა ხნის წინათ გამართული შეხვედრის დროს, მას პუტინთან ხანგრძლივი და საფუძვლიანი საუბარი ჰქონდა. „პუტინმა მითხრა ის, რასაც ფიქრობდა, მე კი მას ჩემი ნაფიქრალი გავუზიარე“, – თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთი ურთიერთობის გაგრძელებას.

ბრატისლავის შეხვედრის დროს ძალზე მნიშვნელოვანი იყო, – მიაჩნია ჯორჯ ბუშს, – როცა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ერთხელ და სამუდამოდ დაადგა დემოკრატიის გზას და აღარ აპირებს ამ გზიდან გადახვევას.

## ცივმა ამინდმა კრიტიკულად შეამცირა ოზონის ფენის სიმკვრივე

**გერმანიის ქალაქ მიუნხენის მახლობლად მდებარე აეროდრომიდან აფრინდა რუსული მზვერავი-თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია სტრატოსფერომდე მიღწევა. თვითმფრინავმა უნდა შეაგროვოს მონაცემები ჩრდილოეთ ევროპის თავზე ოზონის ფენის მდგომარეობის შესახებ.**

ევროპელი მეცნიერების მიერ მიღებული ბოლო მონაცემების თანახმად, სკანდინავიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ჩრდილოეთი რაიონების თავზე ამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა დედამიწის ატმოსფეროში ოზონის ფენის სიმკვრივე. ყოველივე ამის შედეგად ძლიერდება ულტრაიისფერი დასხივების ნაკადი, რომელსაც შეუძლია, გამოიწვიოს კანის კიბო და დააბრმაოს ადამიანები.

არქტიკის მიმდებარე რეგიონებში ოზონის რაოდენობის შემცირების უშუალო მიზეზი გახდა უჩვეულოდ ცივი ამინდი, რომელიც ევროპაში ამ ბოლო სამი კვირის განმავლობაში დგას. ცივმა ამინდმა, როგორც გაირკვა, ხელი შეუწყო მსოფლიო მრეწველობის მიერ ატმოსფეროში გამოფრქვეული ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად ოზონის დაშლის დაჩქარებას.

როგორც ცნობილია, აქამდე ეგრეთ წოდებული „ოზონის ხვრელების“ წარმოქმნის პრობლემა იდგა ჩილესა და არგენტინის სამხრეთ რაიონებში, აგრეთვე, ანტარქტიდაში, სადაც ზამთრობით ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიდრე არქტიკაში. ახლა კი, წინასწარი მონაცემების თანახმად, არქტიკის თავზეც იქმნება გიგანტური



ოზონის ხვრელი. მაგრამ სამხრეთი პოლუსისგან განსხვავებით, ახალი ოზონის ხვრელის წარმოქმნის რაიონებში – პლანეტის ჩრდილოეთ ნაწილში – ასობით მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

რუსულ თვითმფრინავზე დამონტაჟებული აპარატურის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას განიხილავენ ევროპელ მეცნიერთა სპეციალურ სხდომაზე, რომელიც ციურიხში გაიხსნება მიმდინარე კვირას.

## მოკლედ

**კიდევ ერთმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ – მოლდავეთმა შეაქცია ზურგი კრემლს და მიანიჭა უპირატესობა ევროპაში ინტეგრაციას. მანამდე, როგორც ცნობილია, ეს გააკეთეს საქართველომ და უკრაინამ. თუმცა, მოლდავეთის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობას**



**თუ გავითვალისწინებთ, ამ ქვეყანას ძალზე მცირე შანსები აქვს იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში გაწევრიანდეს ევროკავშირში. არადა, სწორედ ამას ესწრაფვიან მოლდავეთის პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, მათ შორის, კომუნისტებიც, – წერს „ინდეპენდენტი“.**

* * *



**ლეონიდ კუჩმამ განაცხადა, რომ ქვეყნის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი არ არის დამნაშავე ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში. „მე ვერ დავიჯერებ, რომ მას შეეძლო ასეთი ბრძანების გაცემა. ეს ყოვლად დაუშვებელია“, – აღნიშნა კუჩმამ კიევის მუსიკალური თეატრის შენობაში, სადაც გაიმართა უკრაინის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრთან – კრავჩენკოსთან გამოთხოვების ცერემონია.**

* * *

**მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე დაიჭრა ოთხი ებრაელი ჯარისკაცი. როგორც ისრაელის სამხედრო წყაროები აცხადებდნენ, პალესტინელებმა „ალ-ჰარან ალ-იბრაჰიმის“ მეჩეთის მახლობლად გა-**



**უხსნეს ცეცხლი ისრაელის არმიის ერთ-ერთ პოზიციას. ერთ-ერთი დაჭრილი ჯარისკაცის მდგომარეობა მძიმეა.**

* * *

**მძლავრი აფეთქება მოხდა რომის გარეუბანში, ოსტიის ტრიბუნალის შენობასთან. შენობა სერიოზულად დაზიანდა: დაინგრა ფასადის ნაწილი, აფეთქების ტალღამ ჩაამსხვრია მინები ირგვლივ მდებარე სახლებშიც, დაზიანდა შემთხვევის ადგილის მახლობლად გაჩერებული ავტომობილები. რადგან ბომბი ადრე დილით აფეთქდა, ამ ტერორისტულ აქტს მსხვერპლი არ მოჰყოლია.**



* * *

**ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რიუიტელი არ ჩავა მოსკოვში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებზე დასასწრებად. როგორც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რიუიტელმა ასეთი განცხადება გააკეთა ევროპის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილესთან თომას ჰენდრიკ ილვესთან, პრემიერ-მინისტრ იუჰან პარტსომთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან რეინო ლანგთან შეხვედრის დროს.**




# მიწვევა კონკურსზე

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:**

საქართველოს ეროვნული ბანკის ოზურგეთის ფილიალის მმართველი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 960 ლარი).

ძირითადი მოვალეობა იქნება ბანკის ფილიალის ხელმძღვანელობა „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის“ საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალის დებულების შესაბამისად.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

***– საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალის მმართველის თანამდებობაზე:***

- უმაღლესი ეკონომიკური განათლება;
- საბანკო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის 3 წლის სტაჟი;
- საბანკო კანონმდებლობის ცოდნა;
- მენეჯერული უნარ-ჩვევები;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარი მომხმარებლის დონეზე.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

კონკურსს ატარებს საქართველოს ეროვნული ბანკის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ეროვნული ბანკის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:**

**საქართველოს ეროვნული ბანკი**
**ქ. თბილისი, 38005, ლეონიძის ქ. № 3/5.**
**საკონტაქტო პირები: ირაკლი დოლიძე, ქეთევან დეკანოზიშვილი.**
**ტელ: (99532) 442-171; 442-174.**
**ელ-ფოსტა: idolidze@nbg.gov.ge**
**kdekanozishvili@nbg.gov.ge**

**საჯარო სამსახურის ბიურო.**

◎ ღვაწლი

# მიწას „ართმევს“ და ხალხს აძლევს

## მირიან თოფჩიშვილი — 70



**თვალსაჩინო ქართველ გეოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მირიან თოფჩიშვილს დაბადების 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.**

1958 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მ. თოფჩიშვილმა პრაქტიკული გეოლოგიური საქმიანობა დაიწყო გეოლოგიური სამმართველოს საძიებო პარტიაში, შემდგომ კი მთელი თავისი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობა დაუკავშირა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტს.

ინსტიტუტში მუშაობის პირველივე წლებიდან მ. თოფჩიშვილი მონაწილეობდა ექსპედიციებში მაღალმთიან რაიონებში ჯერ ძირულის კრისტალურ მასივზე, მოგვიანებით კი კავკასიონზე. ფიზიკური გამძლეობისა და ულევი ახალგაზრდული ენერგიის წყალობით იგი იოლად იტანდა საველე პირობებში მუშაობის სირთულეებს და საინტერესო გეოლოგიურ დაკვირვებებთან ერთად აგროვებდა მრავალფეროვან განამარხებულ ფაუნას. ძირულის მასივის ქვედაიურული ნალექების ფაუნასა და სტრატიგრაფიას ეხებოდა მის მიერ 1966 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1969 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით. ამ საკითხებში სიახლის შეტანა და შთამბეჭდავი შედეგების მიღება არცთუ იოლი იყო, რადგან აქ უკვე ჰქონდათ ჩატარებული გამოკვლევები უფროსი თაობის ავტორიტეტულ მეცნიერებს და პრაქტიკოს გეოლოგებს. ახალგაზრდა მკვლევარმა მოიპოვა მდიდარი პალეონტოლოგიური მასალა, რომელიც გამოირჩეოდა საქართველოში მოლუსკური ფაუნის მანამდე უცნობი სახეობებით. საველე-საექსპედიციო სამუშაოების დროს მოპოვებული მასალის ყოველმხრივმა დამუშავებამ და ანალიზმა მას საშუალება მისცა გაეკეთებინა მნიშვნელოვანი დასკვნები და დამაჯერებლად გადაეჭრა საკითხები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა.

მომდევნო წლებში მ. თოფჩიშვილის გეოლოგიური კვლევის ობიექტია კავკასიონის იურული ასაკის ფიქლების სერია, რომელიც კავკასიის გეოლოგიური აგებულების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ეს ნალექები დიდ ფართობს მოიცავს, მაგრამ მათ სტრატიგრაფიულ შესწავლას აბრკოლებდა მეტად რთული ტექტონიკა, დანაწევრებული, მაღალმთიანი, ძნელადმისადგომი რელიეფი და პალეონტოლოგიური მასალის მოპოვების სირთულე. მიუხედავად ამ სიძნელეებისა მან ერთგვაროვან წყებებში გაბნეული იშვიათი ფაუნის მიგნების განსაკუთრებული ალღოს წყალობით შეაგროვა დროში სწრაფად ცვალებადი პალეონტოლოგიური ჯგუფის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი (კახეთიდან აფხაზეთის ჩათვლით), რომლის საფუძველზე მრავალი „მუნჯი შრე“ აალაპარაკა და ამით არსებითად შეავსო“ ფიქლების სერიის სტრატიგრაფიულ კვლევებში არსებული ხარვეზი.

მ. თოფჩიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელებული ვულგანოგენურ-დანალექი პორფირიტული სერიის სტრატიგრაფიული დიაპაზონის დადგენაში. ამ ლითოსტრატიგრაფიული ერთეულის ქვედა ჰორიზონტებში მის მიერ აფხაზეთში აღმოჩენილმა მაღალი სტრატიგრაფიული ღირებულების მოლუსკურმა ფაუნამ საშუალება მისცა მნიშვნელოვნად შეეცვალა არსებული შეხედულებები აღნიშნული სერიის ასაკის შესახებ.

კავკასიონის ფარგლებში ჩატარებული პალეონტოლოგიური კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა 1990 წელს.

1992 წელს მ. თოფჩიშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „საქართველოს ქვედაიურული და აალენური ნალექების სტრატიგრაფია,“ რომელიც შემდგომ მონოგრაფიად გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში გაშუქებულია მთელი რიგი აქტუალური საკითხებისა, რომლებსაც საქართველოს გეოლოგიური აგებულების დეტალური შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ. მონოგრაფიის ავტორმა ა. ჯანელიძის სახელობის პრემია დაიმსახურა.

2002 წელს შ. კელაპტრიშვილთან და ი. კვანტალიანთან თანაავტორობით გამოქვეყნდა ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს იურულ-ცარცული ბელემნიტების ყოველმხრივ შესწავლას. შრომაში გამოყენებულია ახალი მეთოდიკა, ტერმინოლოგია და განახლებული სისტემატიკა. მონოგრაფიამ მაღალი შეფასება დაიმსახურა გერმანიის, პოლონეთის და რუსეთის სამეცნიერო წრეებში.

1995 წელს მ. თოფჩიშვილი აირჩიეს ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად. აქ გამოვლინდა მისი როგორც ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელის უნარი. უბადლო ორგანიზატორული ალღო. მ. თოფჩიშვილის ინიციატივით ინსტიტუტში რეგულარულად ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები ქართველი და უცხოელი გეოლოგების მონაწილეობით. ბოლო ათი წლის განმავლობაში ბ-ნ მირიანის რედაქტორობით გამოქვეყნებულია 9 მონოგრაფია, მათ შორის აკადემიკოს პ. გამყრელიძისადმი მიძღვნილი შრომათა 900-გვერდიანი კრებული და დაახლოებით ასეთივე მოცულობის კაპიტალური შრომა „საქართველოს ადრეცარცული ფაუნის ატლასი“. დირექტორის უშუალო ძალისხმევით განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიება – შეიქმნა მონოგრაფიული, პალეონტოლოგიური მუზეუმი, რომელსაც თავისი უმდიდრესი კოლექციით კავკასიაში ანალოგი არ გააჩნია.

დიდი ადმინისტრაციული დატვირთვის მიუხედავად ბატონი მირიანი არ წყვეტს ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას. იგი 130-ზე მეტი შრომის ავტორია, რომელთა შორის 5 მონოგრაფიაა. მისი სამეცნიერო კვლევის შედეგები უცხოეთის ბევრ ქვეყანაშია გამოქვეყნებული. იგი მონაწილეა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების, სადაც გამოდიოდა მოხსენებებით.

1997 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ იგი აირჩია წევრ-კორესპონდენტად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მ. თოფჩიშვილი არის გეოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „საქართველოს ნავთობი და გაზის“ სამეცნიერო საბჭოს და სარედაქციო კოლეგიის წევრი. არის რუსეთის პალეონტოლოგიური საზოგადოების წევრი, მინერალური ნედლეულის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სტრატიგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიის ინსტიტუტის ექსპერტთა სამეცნიერო-კვლევითი საბჭოს წევრი.

მ. თოფჩიშვილმა ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული და ორგანიზატორული მუშაობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ გეოლოგიურ მეცნიერებაში. იგი ღირსეულად აგრძელებს ეროვნული გეოლოგიური სკოლის ტრადიციებს.

**ერეკლე გამყრელიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**
**დევი ჩხეიძე,**
**პროფესორი.**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– გარდამეცვალა მეუღლე, დამრჩა სამი შვილი. უმცროსი მეორე კურსის სტუდენტია. ეკონომიკურად ძალიან გვიჭირს. პენსიის დანიშვნაზე უარს მეუბნებიან. ჩემი მეუღლე გარდაიცვალა 60 წლის ასაკში.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენი წლის შრომის სტაჟია საჭირო გარდაცვლილისათვის, რომ ჩემს ობოლ, სტუდენტ შვილს დაენიშნოს პენსია?**

**ლენა გრძელიშვილი.**
**საჩხერის რაიონი, საირხე.**

თუ თქვენს მეუღლეს არ ჰქონდა ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი, მის კმაყოფაზე მყოფ შვილებს დაენიშნებათ არა სახელმწიფო, არამედ სოციალური პენსია, რომელიც გაიცემა ბავშვების 16 (სწავლის პერიოდში 18) წლის შესრულებამდე.

ხოლო თუ თქვენს მეუღლეს ჰქონდა ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი (60 წლის ასაკში სჭირდებოდა 18 წლის სტაჟი) თქვენს შვილებს დაენიშნებათ სახელმწიფო პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო და მიეცემათ სტუდენტობის პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 23 წლის შესრულებამდე.

* * *

**– ვარ I ჯგუფის ინვალიდი. ეკონომიკურად ძალიან მიჭირს. რატომ უნდა გვქონდეს ერთნაირი ოდენობის პენსია მეც და იმათაც, ვისაც ერთი დღეც არ უმუშავია?**

**ნ. ნინიძე.**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონული (საქალაქო) განყოფილებიდან ყველა სახის პენსიონერისთვის დანიშნული პენსია (ომის ინვალიდების და მათთან გათანაბრებული პირების, ჩერნობილის აეს-ის აღდგენითი სამუშაოების შესრულების შედეგად დაინვალიდებულების, 9 აპრილს დაინვალიდებულების, რეპრესირებულთა და მათი ოჯახის შრომისუუნარო წევრების გარდა), სამწუხაროდ, ერთნაირი ოდენობისაა და 28 ლარს შეადგენს.

კარგად გვესმის თქვენი გულისტკივილი, მაგრამ ვალდებული ვართ, გაცნობოთ, რომ I ჯგუფის ინვალიდი პენსიონერებისთვის პენსიის გაზრდა კანონით, ჯერჯერობით არ არის გათვალისწინებული.

როგორც კი ძალაში შევა კანონი ნამუშევარი სტაჟისა და ხელფასის გათვალისწინებით პენსიის დანიშვნის შესახებ, რა თქმა უნდა, I ჯგუფის ინვალიდებისთვის დანიშნული პენსია მეტი იქნება, ვიდრე დანარჩენი ინვალიდების.

აღნიშნულის შესახებ დამატებითი ინფორმაციას დაუყოვნებლივ მოგაწვდით ჩვენი გაზეთის მეშვეობით, კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**



## განცხადება

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია აცხადებს კონკურსს ამავე ინსპექციის სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის სამმართველოში შემდეგ თანამდებობებზე:**

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული; სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის სამმართველოს განყოფილების უფროსი – 5 საშტატო ერთეული; სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის სამმართველოს განყოფილების მთავარი სპეციალისტი – 42 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება მოხდება 2005 წლის 9 მარტიდან 28 მარტის ჩათვლით საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

**კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციას მსურველები მიიღებენ საკონკურსო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, ტელ: 39-33-37; 39-62-93; 39-03-41, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია.**

**2005 წლის 28 მარტს, დღის 12 საათზე ჩატარდება სს „უნივერსალ სერვისის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

**1. გასული წლის ანგარიში.**

**მის. თბილისი, აგლაძის 37.**

**ადმინისტრაცია.**

**შპს „ტრანსჯორჯია 2002“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: თბილისი, კარალეთის ქ. № 4.**

**შპს „ტრანსჯორჯია 2002“-ის ადმინისტრაცია.**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახალ ადმინისტრაციულ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) ატარებს კონკურსს აღნიშნულ შენობაში სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების და საქვეუწყებო ორგანიზაციების განთავსების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და დიზაინერული გადაწყვეტილების შერჩევის მიზნით.**

**დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ 2005 წლის 15 მარტამდე გაეცნონ საკონკურსო მოთხოვნებს ფინანსთა სამინისტროში, მისამართი – ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №70. ტელეფონი: 22-69-07, საკონტაქტო პირი ს. ბერიშვილი, ელ-ფოსტა – tender@mof.ge.**

## განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

**1. გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. № 73, ინდ. 1300, აცხადებს ღია ტენდერს სტადიონზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წელი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 კალენდარული დღის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. № 73, ინდ. 1300. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, განისაზღვრება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების დაგზავნიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

გ) მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისთვის ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ. 303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემოთ მითითებული ვადების შესაბამისად შეეძლებათ მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. № 73, 9-დან 17 საათამდე.

**8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გარდაბნის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 24-46.**

**1. გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. № 73, ინდ. 1300, აცხადებს ღია ტენდერს ქ. გარდაბნის შიდა გზების შეკეთების შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წელი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 კალენდარული დღის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 16 საათამდე, მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. № 73, ინდ. 1300. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, განისაზღვრება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების დაგზავნიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

გ) მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისთვის ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ. 303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემოთ მითითებული ვადების შესაბამისად შეეძლებათ მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. № 73, 9-დან 17 საათამდე.

**8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გარდაბნის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტლეფონი: 24-46.**

## განცხადება ღია ტენდერების გადადების თაობაზე

**ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს, რომ შექმნილი ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე გადადებულია გამოცხადებული ღია ტენდერები ქალაქის ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების მომსახურებაზე, მაღლივი საცხოვრებელი სახლების ფასადების კაპიტალური შეკეთებით სამუშაოებზე, ქალაქში გარე-განათების მომსახურებაზე. ქალაქში გარე-განათების ქსელისა და სანათი წერტილების აღდგენა-კაპიტალური შეკეთებით სამუშაოებზე, ქალაქში ქუჩებისა და მოედნების მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და გზის საფარის სარეაბილიტაციო შეკეთებით სამუშაოებზე.**

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 22 მარტის 10 საათიდან 2005 წლის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, ადგილობრივი თვითმმართველობა, სატენდერო კომისია. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან ირაკლი გოგლიჩიძე, ავთანდილ როხვაძე, მისამართზე: 4600, ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3, მე-4 სართ. ოთახი №431; 433; ტელ: (8231) 4-64-48; 4-38-96.**

**ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა.**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური. მისამართი: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4, ტელ: 93-23-42. აცხადებს ღია ტენდერს სამსახურის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველსაყოფად ტალონური სისტემით მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.**

2. შესყიდვის ობიექტია:

**საწვავი (ბენზინი):**

**ლოტი I ნორმალი – 67000 ლიტრი.**

**ლოტი II დიზელი – 22000 ლიტრი.**

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 23 მარტიდან 24 მარტის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4. ოთახი 202 (საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

**5.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან).

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან);

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ბ) ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართი სადგურების შესახებ (მისამართების მითითებით).

გ) საქონლის ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი.

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მე-2 ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 25 მარტს წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრეტენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 30 მარტიდან 31 მარტამდე მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს **(საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური (სახაზინო კოდი: 17-12) სადეპოზიტო ანგარიში №000141408). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №4. ოთახი 202 ტელ: 93-23-42 (საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური).**

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ა. ჩანქსელიანი, ს. ჩიჩუა.

**სატენდერო კომისია:**
**ს. ჩიჩუა, ა. ჩანქსელიანი.**

# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1 ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონში არსებული ქუჩების კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესიდვის ობიექტი დაყოფილია 8 პოზიციად (ლოტად):

1. ბარათაშვილის აღმართი. 2. ქ. წამებულის გამზირი (მეტრო ავლაბრიდან – მეტრო ისნამდე). 3. შავი ზღვის ქუჩა. 4. მელაანის ქუჩა. 5. მეველის ქუჩა. 6. ციხისძირის ქუჩა. 7. პატარიძის ქუჩა 8. ვაზისუბნის III მ/რ, II კვარტალი.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტობეტონის საფარი, ტროტუარის საფარი, ბორდიურები და სანიაღვრე სისტემა.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 აგვისტო.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 23 მარტის 12 საათიდან 24 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი №33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

• ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

• ცნობები შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

• ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

• ინფორმაციას უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

• ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

• ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

• ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 25 მარტის 12 საათიდან 28 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი №33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია პოზიციების მიხედვით გამოვლენილ იქნას რამდენიმე გამარჯვებული, რომელთაც სამუშაოების მიწოდების განხორციელების უფლება შეიძლება მიენიჭოთ შესყიდვის ობიექტის პოზიციების მიხედვით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **მერაბ შავლაძე** – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-63-54 და **ნუგზარ კალაძე** – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი №33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**სატენდერო კომისია.**

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ფასადების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: კედლის გაწმენდა (გაფხეკვა), კედლის დამუშავება ფასადის ფითხით, გრუნტით, კედლის დალესვა ქვიშაცემენტის ხსნარით, ფასადის შეღებვა 2 პირი ფასადის საღებავით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 მაისი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 23 მარტის 12 საათიდან 24 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი №33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

• ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

• ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

• ცნობები შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

• ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

• ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

• ინფორმაციას უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

• ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

• ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

• ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 25 მარტის 12 საათიდან 28 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი №33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლენილ იქნას რამდენიმე გამარჯვებული, რომელთაც სამუშაოების მიწოდების განხორციელების უფლება შეიძლება მიენიჭოთ შესყიდვის ობიექტის მიხედვით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **მერაბ შავლაძე** – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-63-54 და **ნუგზარ კალაძე** – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი №33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**სატენდერო კომისია.**


## ◎ კალათბურთი

# დაიწყო IV წრე

**კალათბურთელ ვაჟთა XIV ეროვნული ჩემპიონატის XXII ტურში კალენდრით გათვალისწინებული ოთხი შეხვედრიდან მხოლოდ სამი გაიმართა – დედაქალაქის „მაქაბიმ“ სხვა კლუბებიდან ერთბაშად ხუთი მოთამაშე დაიმატა და ისე გაემგზავრა უკრაინაში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ, რის გამოც მისი მატჩი „თბილავიამშენთან“ გადაიდო.**



გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს რუსთავის „თუჯი“ შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდა – ტყეშელაშვილი სიცხის გამო ვერ გამოვიდა სარბიელზე, არწივიძე და ჭოჭუა კი ავტოავარიის შედეგად დატოვებულ იარებს იშუშებენ. ასეთი სოლიდური დანაკლისის მიუხედავად, მასპინძლები ბოლომდე ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მეტოქეს, თუმცა მაინც დამარცხდნენ – 84:89.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა აუტსაიდერთა – თელავის „ბურჯისა“ და სოხუმელ სტუდენტთა შორის. დამატებით დროში გაიმარჯვეს ზღვისპირელებმა – 89:85 (ძირითადი დრო – 76:76).

საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე ტაბლო ძალთა თანაფარდობას – 66:66 ასახავდა თბილისის „დინამოსა“ და თსუ-ს დუელში. დასკვნითი მონაკვეთი ხეცურიანის გარეშე მოასპარეზე დინამოელებმა უშეცდომოდ წარმართეს და სატურნირო ცხრილში მორიგი ქულები ჩაიწერეს – 77:66. არადა, დებიუტში უნივერსიტეტელები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ – 14:3. დავძენთ, რომ თსუ-ს ბაქრაძე და სანიკიძე აკლდნენ. **ყველაზე შედეგიანები:** ლაფანაშვილი (25 ქულა, „დინამო“) და ფანჩულიძე (15 ქულა, თსუ).

**13 მარტს ვერის ბაღში ითამაშებენ:** სტუ – „ბურჯი“ (12 საათზე), „დინამო“ – „ავიამშენი“ (14 საათზე), „მაქაბი“ – „თუჯი“ (16 საათზე) და თსუ – სსუ (18 საათზე).

## ◎ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XXVII ტური. „ატალანტა“ – „მილანი“ 1:2, „ინტერი“ – „ლეჩე“ 2:1, „რომა“ – „იუვენტუსი“ 1:2, „სამპდორია“ – „კიევო“ 1:0, „პარმა“ – „კალიარი“ 3:2, „მესინა“ – „ლაციო“ 1:0, „უდინეზე“ – „ბოლონია“ 0:1, „ფიორენტინა“ – „რეჯინა“ 2:1, „სიენა“ – „ბრეშია“ 2:3, „ლივორნო“ – „პალერმო“ 2:2.**

**ლიდერთა ჯგუფი:** „მილანი“, „იუვენტუსი“ – 60-60, „სამპდორია“ – 47 ქულა.

**ბომბარდირი:** მონტელა („რომა“) – 19 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლეჩე“ – „ფიორენტინა“, „ლაციო“ – „ინტერი“, „კალიარი“ – „რომა“, „კიევო“ – „იუვენტუსი“, „ბრეშია“ – „ლივორნო“, „რეჯინა“ – „მესინა“, „ატალანტა“ – „პარმა“, „ბოლონია“ – „სიენა“, „პალერმო“ – „უდინეზე“, „მილანი“ – „სამპდორია“.

**ესპანეთი. XXVII ტური.** „ატლეტიკო“ – „სევილია“ 3:0, „ოსასუნა“ – „ბარსელონა“ 0:1, „ვალენსია“ – „რეალი“ 1:1, „სარაგოსა“ – „რასინგი“ 1:0, „მალიორკა“ – „სოსიედადი“ 3:2, „ნუმანსია“ – „ვილიარეალი“ 1:1, „ესპანიოლი“ – „ლევანტე“ 2:1, „ბეტისი“ – „ხეტაფე“ 2:2, „ბილბაო“ – „ალბასეტე“ 3:1, „დეპორტივო“ – „მალაგა“ 1:0.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 62, „რეალი“ – 54, „ესპანიოლი“ – 45 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო („ბარსელონა“) – 18 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ალბასეტე“ – „დეპორტივო“, „ატლეტიკო“ – „ვალენსია“, „ბარსელონა“ – „ბილბაო“, „რასინგი“ – „მალიორკა“, „სოსიედადი“ – „ნუმანსია“, „სევილია“ – „სარაგოსა“, „ხეფატე“ – „რეალი“, „მალაგა“ – „ბეტისი“, „ლევანტე“ – „ოსასუნა“, „ვილიარეალი“ – „ესპანიოლი“.

**ინგლისი. XXIX ტური.** „ასტონ ვილა“ – „მიდლსბრო“ 2:0, „არსენალი“ – „პორტსმუთი“ 3:0, „კრისტალ პალასი“ – „მანჩესტერი 0:0, „ნიუკასლი“ – „ლივერპული“ 1:0, „ფულჰემი“ – „ჩარლტონი“ 0:0, „ნორვიჩი“ – „ჩელსი“ 1:3, „საუთჰემპტონი“ – „ტოტენჰემი“ 1:0, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ბირმინგემი“ 2:0, „ევერტონი“ – „ბლექბერნი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“ – 71, „მანჩესტერი“ – 63, „არსენალი“ – 61 ქულა.

**ბომბარდირი:** ანრი („არსენალი“) – 22 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბლექბერნი“ – „არსენალი“, „ჩელსი“ – „კრისტალ პალასი“, „ჩარლტონი“ – „ვესტ ბრომვიჩი“, „მანჩესტერი“ – „ფულჰემი“, „პორტსმუთი“ – „ნიუკასლი“, „ტოტენჰემი“ – „სიტი“, „ბოლტონი“ – „ნორვიჩი“, „ლივერპული“ – „ევერტონი“, „მიდლსბრო“ – „საუთჰემპტონი“, „ბირმინგემი“ – „ასტონ ვილა“.

**გერმანია. XXIV ტური.** „ბაიერნი“ – „ვერდერი“ 1:0, „ბოხუმი“ – „შალკე“ 0:2, „გლადბახი“ – „ვოლფსბურგი“ 1:0, „ჰანოვერი“ – „ჰანზა“ 0:1, „ჰამბურგი“ – „ლევერკუზენი“ 1:0, „შტუტგარტი“ – „ბილეფელდი“ 2:1, „მაინცი“ – „ფრაიბურგი“ 5:0, „ჰერტა“ – „კაიზერი“ 1:1, „ ნიურნბერგი“ – „ბორუსია“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“, „შალკე“ – 50-50, „ვერდერი“ – 43 ქულა.

**ბომბარდირი:** მინტალი („ნიურნბერგი“) – 18 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ვერდერი“ – „მაინცი“, „ბორუსია“ – „შტუტგარტი“, „კაიზერი“ – „გლადბახი“, „ჰანზა“ – „ბოხუმი“, „ლევერკუზენი“ – „ჰერტა“, „ფრაიბურგი“ – „ნიურნბერგი“, „ბილეფელდი“ – „ჰამბურგი“, „ვოლფსბურგი“ – „ჰანოვერი“, „ბაიერნი“ – „შალკე“.

**საფრანგეთი. XXVIII ტური.** „კაენი“ – „ლიონი“ 1:0, „რენი“ – „სოშო“ 3:0, „მონაკო“ – „მეცი“ 0:0, „ლანსი“ – „ოსერი“ 3:1, „პსჟ“ – „ნანტი“ 1:0, „ბასტია“ – „ლილი“ 3:1, „ტულუზა“ – „ნიცა“ 1:0, „ისტრი“ – „ბორდო“ 0:1, „სენტ ეტიენი“ – „მარსელი“ 2:0, „სტრასბური“ – „აიაჩო“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 56, „მარსელი“ – 48, „ლილი“ – 47 ქულა.

**ბომბარდირები:** ფრეი („რენი“ ), პაჟი („სტრასბური“) – 12-12 გოლი.

**შემდეგი ტური:** „აიაჩო“ – „პსჟ“, „ოსერი“ – „მონაკო“, „ბორდო“ – „სენტ ეტიენი“, „ლილი“ – „ტულუზა“, „ლიონი“ – „ისტრი“, „მარსელი“ – „ლანსი“, „მეცი“ – „რენი“, „ნანტი“ – „კაენი“, „ნიცა“ – „სტრასბური“, „სოშო“ – „ბასტია“.

## ◎ მშვილდოსნობა

# ჩუბინები – ცეცხლის ხაზზე

**დავიწყებთ იმით, რომ საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნულ ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს.** უწინდელმა ხელმძღვანელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქეთევან ლოსაბერიძემ კენჭისყრაში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი თქვა. მიზეზად ის მწვავე დაპირისპირება დაასახელა, რაც აგერ მეორე წელიწადია, ფედერაციასა და ეროვნულ ნაკრებს ხრავს. ამ მოტივით უფლებამოსილება მოიხსნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლელა აფციაურმაც. მშვილდოსნებს თავიანთ ყრილობაზე ახალი ხელმძღვანელობის არჩევაც ლა დარჩენოდათ. დელეგატებმა პრეზიდენტად თენგიზ ტერენაშვილის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი. საპატიო პრეზიდენტად ქეთევან ლოსაბერიძე, ვიცე-პრეზიდენტებად ვლადიმერ ლეკვეიშვილი და კახაბერ მიქელაძე აირჩიეს, ლაშა მჟავანაძე კი გენერალური მდივანი გახდა.

სანამ ფუნქციონერები სავარძლების ამბებს არკვევდნენ, სპორტსმენებმა სომხეთში ნუნე აბრამიანის მემორიალში იასპარეზეს. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრები ქრისტინე ესებუა და ხათუნა ნარიმანიძე ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მცირე უპირატესობით ესებუამ იმარჯვა და პირველ პრიზს დაეუფლა. მესამე ადგილისთვის იამზე ტალახაძემ ირინა კორჩენკო დაამარცხა.

გოგონათა ტურნირშიც პირველ-მეორე ადგილები ქართველებს ხვდათ – გიული გათენაძემ ფინალში ნანა მჟავანაძეს სძლია.

ვაჟებში ჩვენი მშვილდოსნები კვარცხლბეკზე ვერ მოხვდნენ – ყველა საპრიზო ადგილი სომხებმა დაიკავეს. სავარაუდოდ ფაქტი მით უფრო სამწუხარო იყო, რომ ლაშა მაჩაიძემ მერვედფინალში 170 ქულით საქართველოს რეკორდი კი დაამყარა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მაინც არ ეყო.

გასულ შაბათ-კვირას ჩვენმა ჩუბინებმა არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზეს. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში კვლავ ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუა გავიდნენ. ამჯერად 115:114 ნარიმანიძემ გაიმარჯვა და ერევანში წაგებისთვის რევანში აიღო, ბრინჯაოს მედალი ასმათ დიასამიძეს ხვდა.



ვაჟებში ოქროს მედალი მოიპოვა ახალგაზრდა გიორგი მეჟევიძემ, რომელმაც საქართველოს ორი რეკორდიც დაამყარა. მან გადამწყვეტი შეხვედრა შალვა წიბლიაშვილს მოუგო 113:108. მესამე იყო ლადო ბოლქვაძე.

გუნდურ პირველობაში აჭარის ქალთა (ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე, ოლგა ლადიგინა) და ვაჟთა (ლადო ბოლქვაძე, კახა ტრეტიაკოვი, დიმიტრი კირიჩენკო) ნაკრებებმა გაიმარჯვეს.

**ლექსო ცინცაძე.**

## ◎ ჩოგბურთი

# განაში – ადგილის შესანარჩუნებლად



**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები, რომელსაც ლიდერი ირაკლი ლაბაძე აკლდა, სოფიაში დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩს მართავდა ბულგარელებთან.** პირველი დღის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო (ლადო ჩიხლაძემ ივაილო ტრაიკოვს მოუგო, ირაკლი უშანგიშვილი კი ტოდორ ენევთან დამარცხდა). წყვილთა პაექრობაში ქართველთა დუეტმა ბალკანელებს (იორდან კანევი, ილია კუშევი) პირველ პარტიაში სძლია (6:4), მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი ხელი დათმო (3:6, 4:6, 4:6). ყველაფერი კვირის ორთაბრძოლებს უნდა გადაეწყვიტა. სამწუხაროდ, ენევმა 3:1 (6:1, 6:2, 5:7, 6:4) მოუგო ჩიხლაძეს, ტრაიკოვმა კი უშანგიშვილს აჯობა, საბოლოოდ ბულგარელებმა 4:1 გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრებმა ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად 15-17 ივლისს განაში მასპინძლებს უნდა სძლიოს.

**გიორგი გაგუა.**

## ◎ ფიგურული სრიალი

# წინსვლა

**კანადაში დამთავრდა 19 წლამდე მოციგურავეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც 14 წლის ელენე გედევანიშვილიც მონაწილეობდა.** ქართველმა სპორტსმენმა ხუთი წლით უფროსებს ტოლი არ დაუდო და საბოლოოდ მე-5 ადგილი დაიკავა, რითაც შარშანდელი მიღწევა ერთბაშად 7 საფეხურით გააუმჯობესა.

შეგახსენებთ, რომ ელენე გედევანიშვილი რამდენიმე წელიწადია, მოსკოვში ემზადება ცნობილი სპორტსმენის ელენა ვოდორეზოვას (ქორეოგრაფი – ელენა ბლაგოვა) ხელმძღვანელობით.

## ◎ ჭიდაობა

# ზოგი – კვარცხლბეკზე, ზოგი – ლაზარეთში

**გასულ უქმეებზე ბულგარეთის დედაქალაქმა სოფიამ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირს – ნიკოლაი პეტროვის მემორიალს უმასპინძლა.** შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბესარიონ გოჩაშვილმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ხოლო ნაკრების დებიუტანტი კობა კაკალაძე (60 კგ) მესამე ადგილზე გავიდა. ავადმყოფობის გამო რევაზ მინდორაშვილს (84 კგ) არ უასპარეზია. ნახევარფინალში ტრავმა მიიღო მძიმეწონოსანმა დავით ოთიაშვილმა, რომელმაც მესამე ადგილისთვისაც ვერ იჭიდავა.



## ◎ კრიმინალი

**დააკავეს კონტრაბანდული საქონლით დატვირთული „ოპელი“**

**ახალციხის** რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დაბა ვალეში კონტრაბანდული საქონლით დატვირთული „ოპელის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, ავტომანქანის მეპატრონემ საქართველო-თურქეთის საზღვარი საქონლის განბაჟების გარეშე გადმოკვეთა და საქართველოში სხვადასხვა დასახელების პარფიუმერული ნაწარმი და ელექტროტექნიკა შემოიტანა.

თბილისის მკვიდრ მალხაზ ობოლაძეს აღნიშნული ტვირთი დედაქალაქში სარეალიზაციოდ მოჰქონდა.

პოლიციაში აცხადებენ, რომ კანონის დამრღვევი მებაჟეები აუცილებლად დაისჯებიან.

რაც შეეხება თავად მალხაზ ობოლაძეს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი კონტრაბანდული ტვირთის აღრიცხვის შემდეგ გაირკვევა.

მოკვლევას სამცხე-ჯავახეთის საფინანსო პოლიცია აწარმოებს.

**დამნაშავეა გოჩა გაბეშია?!**

**საქართველოს** პროფკავშირების გაერთიანების წევრები სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მარტვილის ფილიალის ხელმძღვანელს გოჩა გაბეშიას თანამშრომლების უკანონოდ გათავისუფლებაში ადანაშაულებენ.

„ფილიალის ხელმძღვანელმა გოჩა გაბეშიამ, უმაღლესი განათლების არქონის მოტივით, თანამდებობიდან 7 პირი გაათავისუფლა. მათ ადგილზე კი მარტვილის რაიონის გამგებლის ზაზა რუხაიას ახლო ნათესავები მიიღო“, – განუცხადეს „ინტერ-პრესს“ პროფკავშირების პრესსამსახურში.

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში პროფკავშირების ბრალდებას უარყოფენ. ფონდის იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მაია შავშიშვილის განცხადებით, მარტვილის ფილიალის თანამშრომელთა შემცირება ახალ საპენსიო სქემაზე გადასვლამ განაპირობა. ახალ სტრუქტურულ ერთეულებზე კი, მისი თქმით, მაღალკვალიფიციური კადრები კონკურსის წესით შეარჩიეს.

როგორც შავშიშვილი აღნიშნავს, შემცირებაში მოყოლილ თანამშრომლებს ფონდი უახლოეს მომავალში სხვა სამსახურში გადასვლას შესთავაზებს.

**პოლიციის თანამშრომლები კორუფციაში ამხილეს**

**საქართველოს** შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები კორუფციაში ამხილა.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, კორუფციაში მხილებულნი არიან რუსთავის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორები რევაზ სვანიძე და დავით წიკლაური.

აღნიშნული პოლიციელები გარდაბანი-რუსთავის გზატკეცილზე ტვირთების გატარებისთვის მოქალაქეებს თანხას სისტემატურად სძალავდნენ. გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა უკვე დაიწყო.

**ინტერ-პრესი.**

## ◎ სპორტულ ორბიტაზე

### ფინიშის წინ კასპაროვი ლიდერობს

**ლინარესის სუპერტურნირზე ბოლო ტურის წინ კვლავ გარი კასპაროვი ლიდერობს – 6,5 ქულა 9 პარტიიდან.**



ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ მსოფლიო რეიტინგით პირველი მოჭადრაკე მეთერთმეტე ტურში ისვენებდა. იქამდე კი ჯერ ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი კასიმჯანოვი დაამარცხა (შავებით), შემდეგ კი მასპინძელი დიდოსტატი ვალეხო.

მეცხრე ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ ტოპალოვი და ანანდი, ლეკო და ადამსი. მეათე ტურში ანანდი ლეკოს დაუზავდა, ადამსი კი კასიმჯანოვს.

მე-11 ტურში ფიდეს ჩემპიონმა კიდევ ერთი დამარცხება იწვნია. ამჯერად ის ანანდმა დაჯაბნა. დანარჩენი პარტიები კვლავ ყაიმით დასრულდა – ლეკომ ტოპალოვთან გაიყო ქულა, ვალეხომ კი – ადამსთან.

დასკვნითი ტურის წინ სუპერტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: **კასპაროვი** – 6,5 (9), **ანანდი** – 5,5 (9), **ტოპალოვი** – 5 (9), **ლეკო** – 5 (10), **ადამსი** – 4,5 (10), **კასიმჯანოვი** – 3,5 (10), **ვალეხო** – 3 (9).

### ზედიზედ ოთხი მსოფლიო რეკორდი(!)

**ერთი თვის მანძილზე რუსეთელი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა ოთხ შეჯიბრებაში მონაწილეობდა და ოთხივეში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**

გუშინწინ ის მადრიდში ასპარეზობდა და ახალი მსოფლიო რეკორდით გაახარა თავისი გულშემატკივრები. ის დარბაზში 4,90 მეტრზე გადახტა, რითაც 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა წინა რეკორდი. რომელიც მან 26 თებერვალს დაამყარა.



### სეზონი სიურპრიზით დაიწყო

**სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც ნამდვილად ელოდნენ სიურპრიზებს ავტორბოლაში „ფორმულა-1“ ახალი, 56-ე სეზონის პირველი ეტაპიდან, რომელიც გუშინწინ მელბურნში, ალბერტპარკის ავტოდრომზე გაიმართა.**

როგორც ცნობილია, წლევანდელი სეზონი წესებში მნიშვნელოვანი ცვლილებებით დაიწყო. ამბობდნენ, რომ „მწვანე კონტინენტზე“ ის გაიმარჯვებდა, ვინც ზედმიწევნით „მოერგებოდა“ სიახლეს.

118 ათასამდე მაყურებელი ადევნებდა თვალს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად დაწყებული 7-თვიანი მარათონის „პირველ ნაბიჯებს“, რომელიც ყველაზე გაბედულად და შედეგიანად „რენოს“ იტალიელმა პილოტმა ჯანკარლო ფიზიკელამ „გადადგა“. მან ბრწყინვალედ იასპარეზა და ავსტრალიის დიდ პრიზსაც დაეუფლა. მეორე იყო „ფერარის“ მეორე პილოტი, ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, მესამე კი – ისევ „რენოელი“ ფერნანდო ალონსო (ესპანეთი).



ამ ვაჟკაცური სპორტის 7-გზის მსოფლიო ჩემპიონს მიხაელ შუმახერს ხელი მოეცარა. ის 43-ე წრეზე „უილიამსის“ პილოტის ნიკ ჰაიდფელდის ბოლიდს შეეჯახა და ორივე გამოეთიშა ასპარეზობას.

კონსტრუქტორთა თასზეც „რენო“ ლიდერობს – 16 ქულა, მეორეზეა „ფერარი“ – 8 ქულა, მესამეზე – „რედ ბული“ – 7 ქულა.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



**სახელგანთქმული მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე და შვიდი შვილის დედა ტასიკო ორაგველიძე-იმნაიშვილისა ქობულეთში მოსწავლეებთან შეხვედრის დროს.**
**სურათი გადაღებულია 1977 წელს.**

**მოგვაწოდა ზურაბ დვალმა.**

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— ნახე, კაცო, ნახე, რა წერია აქა, — გაზეთს აწვდის ქმარს მარო, — აფრიკაში ქალის 40 დოლარად ყიდვა შეიძლებაო! ეს ხომ, უბრალოდ, წარმოუდგენელია!

— რატომ? — სერიოზულად ამბობს მიხო ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ, — კარგ ქალში მართლაც შეიძლება ამდენის გადახდა...

* * *

დავიბადე იმ გულუბრყვილო დროს, როდესაც სიტყვა „ცისფერი“ ნიშნავდა მხოლოდ იმას, რასაც სინამდვილეში უნდა ნიშნავდეს.

* * *

დირექტორი სამსახურში მისაღებ პიროვნებას ესაუბრება:

— ჩვენს დაწესებულებაში ძალიან ფასობს სისუფთავე. ჩემთან შემოსვლამდე ნოხზე ფეხსაცმელი გაიწმინდეთ?

— რა თქმა უნდა!

— ჩვენთან პატიოსნება და გულწრფელობაც ძალიან ფასობს: ჩემი კაბინეტის კართან არანაირი ნოხი არ დევს.

* * *

ადამიანი სრულქმნილებასთან ყველაზე ახლოს არის მაშინ, როდესაც სამსახურში მისაღებად ანკეტას ავსებს.

* * *

— ღმერთო ჩემო, ნახე, რა კარგი საქორწინო კაბაა! მოიზომე!

— არ მინდა...

— რას ამბობ, ზუსტად საშენოა, მოიზომე!

— უხერხულია...

— რა არის უხერხული, შეხვალ კაბინაში და მოიზომავ.

— კარგი რა, ვოვა, რა დროს საქორწინო კაბის მოზომვაა, გუშინდელს მერე პირი არ გამიპარსავს!..

* * *

— გახსოვთ, ამ ხუთი წლის წინათ თქვენთან რომ ვიყავი? — ეკითხება ქალი მარჩიელს, — მაშინ მითხარით, რომ მდიდარი ქმარი და სამი შვილი მეყოლებოდა.

— მახსოვს, კარგად მახსოვს.

— შვილები კი, მაგრამ ახლა მაინტერესებს, ქმარი როდის მეყოლება?

## ქალს სული უმღერს



### განშორების მელოდია

**დავიბენი...**
**მე მეგონა სიყვარული,**
**თურმე არა —**
**განშორების მელოდიამ**
**დამიზარა.**
**დავიბენი....**
**უცნაური რამ ვიგრძენი,**
**დამეხატა**
**მე ახალი ოცნებები —**
**დამეზარა.**
**დავიბენი...**
**ცრუ იმედმა შემაცია,**
**დამეკარგა**
**სიყვარულის მელოდია —**
**დამენანა!**

### ვერ გაპატიებ!

**უპატიებელს ვერ გაპატიებ,**
**ამის სურვილი გულშიც რომ**
**მქონდეს.**
**დღეს სიყვარული თუ კი გამათბობს,**
**ვეღარ ავიტან ხვალე რომ თოვდეს.**

**თუ შორეული წუთი მოგხიბლავს,**
**თუ დაბრუნდები წარსულის ლანდთან,**
**ნუ დამაჯერებ მაშინ ამ ზღაპარს,**
**ნუ შეურაცხმყოფ საკუთარ თავთან.**

**მე შიშის ფარდებს ვწევ და**
**ვაფარებ,**
**არ მინდა შუქი მომწვდეს იმედის.**
**ეს გატაცება მცირე ეპიზოდს,**
**რომ დაემსგავსოს, ხომ გავგიჟდები.**

**უპატიებელს ვერ გაპატიებ,**
**ვერც სიყვარულის ფერებით თამაშს,**
**ხელს თუ ჩაგჭიდებ და მოგენდობი**
**წუთით გართობად ნუ ჩათვლი ამას!**

* * *

**მე ჩახუტებულს ჩამეძინა სევდის**
**აჩრდილთან...**
**და გუშინ სულაც ვერა ვხვდებოდი,**
**რომ შეუმჩნევლად, ნელა ქრებოდა**
**ცელქი დღეები ამ შემოდგომის.**
**მე ჩახუტებულს ჩამეძინა სევდის**
**აჩრდილთან...**
**რეკავდნენ თოვლის თეთრი ზარები,**
**და ნაბიჯები ახლოვდებოდა**
**მომავალ დღეთა გარდაცვალების.**

**ლელა მანავლიშვილი.**

* * *

**ზამბახი ჩაეხუტა მთვარეს**
**თბილ უბეში და**
**ვარსკვლავებში გაუჩინარდა.**

* * *

**წვიმამ იასამანს**
**მოსწმინდა ცრემლები**
**და ბაღს შეუბნია**
**გახსნილი საკინძე.**

* * *

**მე მომეჩვენა, რომ ნოემბერი**
**ზამთრის ლოდინში**
**ცრემლებს ყლაპავდა.**

* * *

**ერთი რამ მიკვირს —**
**სად ჰპირდება ამდენ კლოუნს**
**ღმერთი სამსახურს,**
**ოინბაზები, ჯამბაზები**
**რომ გავხდით ყველა,**
**ვაკეთებთ ერთს და ვფიქრობთ**
**მეორეს,**
**სადღაც ეშმაკი სიცილით კვდება.**

* * *

**ღმერთად რომ მაქციე, ჩემი ხატი**
**ხარო,**
**ქალღმერთს დამამსგავსე, სიყვარული**
**ხარო,**



**ნუ აატირებ ხატს, შენზედ**
**მლოცველს,**
**ნუ დააობლებ გულს უბოროტოს.**
**ეს გული მხოლოდ შენ მიიკუთვნე,**
**ნუ გადმომხედავ, გთხოვ**
**დიდკაცურად,**
**აგედევნები, როგორც აჩრდილი,**
**შენს სიყვარულში დავიფერფლები.**

**რუსლანა თოდუა.**

## გიხაროდენ!

# ნუმც მოიშალოს მგალობლიშვილების ოჯახში ქართული იავნანა



სამშობიარო სახლ „ჰერას“ მედპერსონალი მუდამ მზად არის მოსალოგინებლად მოსულთა მისაღებად. მათ აქ სამედიცინო პერსონალის დიდი ყურადღება და პროფესიონალიზმი ხვდებათ. 4 მარტს ნათია მრელაშვილი-მგალობლიშვილი ექიმ-გინეკოლოგმა სოსო ღოღობერიძემ ამშობიარა, დაიბადა ლამაზი გოგონა ირინა მგალობლიშვილი. პირველი შვილის შეძენით გაიხარეს ნათიამ და მისმა მეუღლემ თორნიკე მგალობლიშვილმა, პირველი შვილიშვილის შეძენით მაია და ზაზა მრელაშვილებმა, ხოლო პირველი შვილთაშვილით პედაგოგმა ნათელა მიშველაძემ და მწერალმა ლადო მრელაშვილმა.

ჩვილთა სიმრავლე არ მოშლოდეთ მგალობლიშვილების და მრელაშვილების ოჯახებს, — ნუმც მოშლილიყოს ახალშობილთან ქართული იავნანა.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

**ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 მარტს.**

## სანთელი

### ჯონდო დათუსანი



ქართველ მოჭიდავეთა ოჯახს მოულოდნელად გამოაკლდა საქართველოს მრავალგზის, საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ჯონდო დათუსანი.**

ჯონდო დათუსანი დაიბადა ქ. ქუთაისში 1941 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თავისი სპეციალობით სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, იყო ქ. თბილისის „ინჟმშენის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი.

ჯონდო დათუსანი, თავისი ცხოვრების მანძილზე, სადაც კი უსწავლია, უმუშავია, სპორტულ სარბიელზე გამოსულა, უბრალოებით, სისადავით, მაღალი პროფესიონალიზმით და პრინციპულობით ყველას პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებდა.

რაოდენ დასანანია, რომ ამიერიდან ჯონდო დათუსანს მხოლოდ წარსულ დროში მოვიხსენიებთ, ბევრჯერ მოგვენატრება მისი ნათელი შუბლი, გამორჩეული სიტყვა-პასუხი, უღალატობა, მისი კეთილი და ოდნავ ნაღვლიანი ღიმილი.

ნათელი დაადგეს მას სამუდამო სასუფეველში.

**საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“.**

---

დედა ეთერი, მეუღლე ლია, შვილი სულხანი, ძმები იაგო, კობა, დები ლუდმილა, ელისაბედი, სიძეები თედო ჩიტაძე, ზვიად ცხოვრებაძე, რძალი როზა მგალობლიშვილი, ძმისწულები გოგა, თეა, თამთა, დისწულები ბადრი, ეკა ჩიტაძეები, რძლები ლალი ლაცაბიძე, ფიქრია რობაქიძე, მაია აზარაშვილი, სიდედრი ცისანა ფანქველაშვილი, ცოლისდები მანანა, ირინა, ქვისლები თამაზ სუხიაშვილი, გია გოგალაძე, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თეიმურაზ მეტრეველი.

პანაშვიდი 8, 9 III, 16 სთ. მისამართი: ვაზისუბანი IV მ/რ. I კვ. მე-12 კორპ. გამოსვენება 10 III, 15 სთ. ჟურნალისტის სახლიდან (ერეკლე მეორის მოედანი).

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ჟურნალისტი, შესანიშნავი პიროვნება და მამულიშვილი

თეიმურაზ მეტრეველი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

მარადი და მზიური ანასაშვილები ოჯახებით იუწყებიან ახლობელი და საყვარელი ადამიანის

თეიმურაზ მეტრეველის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სპარტაკ ქობულია ოჯახით იუწყება უიშვიათესი პიროვნების, მეგობრისა და კოლეგის

თეიმურაზ მეტრეველის

გარდაცვალებას.

---

დავით ჭელიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

თეიმურაზ მეტრეველის

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი და პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის გაზეთ „ქართული კულტურის“ დამაარსებელი და წლების მანძილზე მისი მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის კათედრის პედაგოგი, ცნობილი ჟურნალისტი

თეიმურაზ მეტრეველი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის 1970 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ჟურნალისტის და რედაქტორის

თეიმურაზ მეტრეველის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები რევაზ აიწურაძე, სერგი მინაშვილი, ჯემალ გორდულაძე, მანანა ვახტანგაძე, ლია ფხალაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თეიმურაზ მეტრეველის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „საქწიგნის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

თეიმურაზ გიორგის ძე მეტრეველი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



სს „ჰიდრორემმშენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის თანამშრომელი

ვაჟა მოსეს ძე ელიზბარაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 8, 9 III, 16 სთ. დაკრძალვა 10 III, 14 სთ. ვარკეთილის ზემო პლატო, 12 კორპუსი, V სადარბაზო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი

რიჩარდ ლევანის ძე სხირტლაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

დაკრძალვა 8 III, 14 სთ. ქავთარაძის 5.

---

გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა დარგის პროფესიონალი და შესანიშნავი მეგობარი

ემილ ტეფნაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლ. ყანჩაველის სახელობის საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება წამყვანი სპეციალისტის, განყოფილების გამგის

ნუგზარ ზაქარიას ძე ყანჩაველის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

### ზინაიდა კვაჭაძე



საქართველოს ინტელიგენციის ძველ გვარდიას კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა — გარდაიცვალა თვალსაჩინო კომკავშირული, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკი, ქალბატონი **ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე.**

კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, კომკავშირის თბილისის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — აი, ასეთი მრავალმხრივი და სასახელო ცხოვრების გზა განვლო ქალბატონმა ზინაიდა კვაჭაძემ.

განსაკუთრებული იყო ქალბატონი ზინაიდა კვაჭაძის სისპეტაკე, საქმისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი ინტერესების უმაღლესობა, პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და შრომისმოყვარეობა.

ამ თვისებების გამო იგი სარგებლობდა უდიდესი პირადი ავტორიტეტით. მის მოსაზრებებს და წინადადებებს ყურადღებით ისმენდნენ და ითვალისწინებდნენ ხალხში და ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.

ადამიანებთან პირადი ურთიერთობა, თანადგომა, მათი სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გაზიარება ქალბატონი ზინაიდას ცხოვრების წესს წარმოადგენდა.

ეს პირადი თვისებები განსაკუთრებით ფართოდ გამოვლინდა მისი პროფკავშირებში მოღვაწეობის პერიოდში.

იმდენად მშობლიური და უანგარო იყო ადამიანებისადმი ეს მზრუნველობა, რომ პროფკავშირებში მას სიყვარულით „დედა ზინას“ უწოდებდნენ.

ქალბატონი ზინაიდა კვაჭაძე არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატად, საკავშირო და საქართველოს პროფსაბჭოების წევრად, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის წევრად. მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო პატივისცემა და სიყვარულია, რომელიც მან ჩვენ შორის დატოვა.

**საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება.**

---

### ზინაიდა კვაჭაძე



გარდაიცვალა დიდი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, საქართველოში ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე, ქალბატონი **ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე.**

ქალბატონი ზინაიდა წლების მანძილზე მუშაობდა ახალგაზრდულ, პარტიულ, უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. 1978-1988 წლებში იყო საქართველოს პროფკავშირის მდივანი.

არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატად, საკავშირო პროფკავშირისა და საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის წევრად.

იყო მრავალი სამთავრობო ჯილდოს მფლობელი, ქალთა ორგანიზაციაში მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა „ღირსების ორდენი“.

1989 წლიდან ქალბატონი ზინაიდა კვაჭაძე საზოგადოებრივ საწყისებზე ქალთა საბჭოში მოღვაწეობდა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა საქმისადმი უაღრესად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, არჩეული იყო არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად.

საქართველოში საყოველთაოდ ცნობილია ქალბატონი ზინაიდას ქველმოქმედება სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფთათვის. განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება იძულებით გადაადგილებული პირების, მარტოხელა ოჯახების, ობლებისა და დაზარალებულთა მიმართ.

ქალთა საბჭოს კოლექტივთან ერთად იგი მუდმივად ზრუნავდა საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი ქალებისა და მოზარდების უფლებების დასაცავად.

და საერთოდ, მისთვის ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო ქალთა როლის ამაღლება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მათი ინტერესების, ღირსების და უფლებების დაცვა.

დაუვიწყარია ქალბატონ ზინაიდას პიროვნება ყველასთვის, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს ქალთა საბჭო.**

---

ვიქტორია სირაძე, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ქემერტელიძე, მზექალა შანიძე, ნათელა ვასაძე, მარიკა ბარათაშვილი, ნელი გურგენიძე, მედეა მეზვრიშვილი, ვარვარა გრიგალაშვილი, რუსუდან ჯაფარიძე, ნათელა ლაღიძე, ლია ლომიძე, დალი ბოჯგუა, მადონა მგელაძე, მარინე ილაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

ზინაიდა კვაჭაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## სულთათანა

### მასწავლებლის გახსენება

კოლეგები, მოწაფეები და მეგობრები წელს ტკივილნარევი სევდით პირველად ვხვდებით ბატონი **გივი ინწკირველის** დაბადების დღეს — რვა მარტს.

წელს მხოლოდ ერთურთს თუ გავუზიარებთ დიდი მასწავლებლისადმი რიდის, მოკრძალების, პატივისცემის, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობას.

ბატონი გივი ლამაზი და დახვეწილი ურთიერთობების უზადო ოსტატი იყო. საოცარ ტაქტიანობასთან შერწყმული საკუთარი ღირსების მაღალგანვითარებული გრძნობა, ამავდროულად, მუდმივად შეგვახსენებდა, რომ ბატონი გივი „სხვა“ იყო, რომელთანაც მიღებულ ცოდნას ვერ ამოიკითხავდით ვერანაირ წიგნებსა თუ ბიბლიოთეკებში.

აწ უკვე ბატონი გივის გარეშე ჩაივლის ყოველი წლის რვა მარტის შეხვედრა. მას არ ექნება ის ჩვეული სილამაზე და პეწი, რომლითაც განებივრებული ვყავდით ჩვენს მასწავლებელს. ვერც ბატონი გივის წასვლის შემდეგ დარჩენილ სიცარიელეს ამოავსებს რამე. მაგრამ სევდანარევი ხასიათის მიუხედავად გაზაფხულის პირველი დღესასწაული მადლიერი შთამომავლობისათვის მუდამ დარჩება ბატონი გივის დაბადების დღედ.

**გიორგი ხუბუა.**

## დღის კალენდარი 8 მარტისთვის

ამოდის 06.26
ჩადის 17.58
(ამოდის 04.59, ჩადის 14.11

**წლის 66-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 299 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**ცხრა ყრმა კოლაელთა: გუარამისა, ადარნასესი, ბაქარისა, ვაჩესი, ბარძიმისა, დაჩისა, ჯუანშერისა, რამაზისა და ფარსმანისა (VI); ევგენიელ მოწამეთა ნაწილების პოვნა (395-423); მოწამე მავრიკიოსისა და 70-თა მხედართა — ფოტინესი, თეოდორესი, ფილიპესი და სხვათა (დაახ. 305); ღირსთა — თალასისა, ლიმნაიოსისა და ვარადატისა, სირიელ მეუდაბნოეთა (V); ღირსი ათანასე აღმსარებლისა (821).**

### დაიბადნენ:

1850 — **თომას მასარიკი,** ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი.

1857 — **იულიუს ვაგნერ იაურეგი,** ავსტრიელი ფიზიოლოგი და ფსიქოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1940 წელს.

1875 — **მორის რაველი,** ფრანგი კომპოზიტორი.

1893 — **პოლიკარპე კაკაბაძე,** დრამატურგი. გარდაიცვალა 1972 წელს.

1957 — **გიორგი გვახარია,** ხელოვნებათმცოდნე.

### გარდაიცვალნენ:

1274 — **თომა აქვინელი,** ქრისტიანი ფილოსოფოსი და თეოლოგი.

1702 — **გივი ამილახვარი,** საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი.

1971 — **დავით კაპანაძე,** ცნობილი ქართველი ნუმიზმატი.

1993 — **მარტი ლარნი,** გამოჩენილი ფინელი მწერალი.

### მოვლენები:

**1871 წელი** — გარდაიცვალა შამილი, ჩეჩნეთისა და დაღესტნის მესამე იმამი.

**1875 წელი** — ამერიკელმა გამომგონებელმა ბელმა დააპატენტა ტელეფონი.

**1997 წელი** — პირველად ჩატარდა ცხვრის კლონირება.

**ელდია-ნიუსი.**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი.

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika